ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 22 იანვარი, 2018 №17 (7562) ფასი: 50 თეთრი



გვ.2

პოლიცია მტკვარში, სავარაუდოდ, სოსო ქუთათელაძის მკვლელობის იარაღს ეძებს

19 იანვრიდან

ალექსანდრე იასალაშვილი

შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# ივანიშვილმა სერგეენკო და კვირიკაშვილი დაიწუნა








გვ.3

„ოცნებაში“ საპრეზიდენტო კანდიდატურების შერჩევაზე კასტინგი გამოცხადდა



## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაცები და არასამთავრობოები ქისტების წაქეზებას ცდილობენ“

გვ.4

## ეყოლება თუ არა ოპოზიციას პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატი



გვ.3

**სამართალი** გვ.2



თეიმურაზ მაჩალიკაშვილის საქმეზე ბიოექსპერტიზის პასუხი მზად არის

კლუბ „ბასიანის“ საქმის მოსამართლე უარყოფს, რომ მასზე ზეწოლა განხორციელდა



გვ.7

ნათია სონღულაშვილი სააკაშვილის ექსტრადირებაზე: „მოლოდინის რეჟიმში ვართ“



გვ.2

**ეკონომიკა** გვ.6




სიღარიბე და საშემოსავლო უთანასწორობა მთავარი ეროვნული საკითხებია



ამირან გამყრელიძე: „ძალიან გთხოვთ, ნუ აიცრუებთ გულს ვაქცინაციაზე“

ძველ იპოდრომთან ესტაკადის მოწყობაზე ტენდერი გამოცხადდა



ირაკლი კოვზანაძე: „ბურთი დღეს ეროვნული ბანკის მოედანზეა“

ISSN 1987-9385

**5** თურქი ექსპერტები: „თურქეთი შეიძლება აიძულონ, მსხვილმასშტაბიან ომში ჩაებას“

**4** ჯორჯ სოროსი: „სააკაშვილთან დამოკიდებულება ჩემთვის მტკივნეული გაკვეთილია“

**7** გელა ნიკოლაიშვილი: „როდესაც სამართლიანობა ვერ ბატონობს, მოქალაქე თვითონ იწყებს ანგარიშსწორებას“

**2** ქაბულში სასტუმროზე თავდასხმას 43 ადამიანი შეეწირა

# პოლიცია მტკვარში, სავარაუდოდ, სოსო ქუთათელაძის მკვლელობის იარაღს ეძებს

## გიორგი ჭანტურია 7-საათიანი დაკითხვის შემდეგ სახლში გაუშვეს

20 იანვარს გენერალ სოსო ქუთათელაძის მკვლელობის გამოძიების ფარგლებში გიორგი ჭანტურია ხელმეორედ დაიკითხა.

მისი დაკითხვა ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის სამმართველოში 7 საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

პოლიციის შენობიდან გამოსვლისას ჭანტურიამ განაცხადა, რომ გამოძიებას მასთან დამატებითი კითხვები ჰქონდა, რომლებსაც პასუხი გასცა, თუმცა, რა კითხვები იყო, არ დაუკონკრეტებია.

დაკითხვამდე გიორგი ჭანტურიასა და მისი მეუღლის საცხოვრებელ სახლებში, რუსთავსა და თბილისში, განმეორებითი ჩხრეკა ჩატარდა. ამის შემდეგ კი გიორგი ჭანტურია, მისი მეუღლე და და – მარიამ ჭანტურია, პოლიციაში დაიბარეს.





გიორგი ჭანტურიას ადვოკატი, ალექსანდრე კობაიძე, არ გამორიცხავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი გამოკითხვაზე კვლავ დაიბარონ.

მკვლელობის გამოძიების პროცესში ყოფილი პროკურორი, გიორგი ჭანტურია, 17 იანვარს დააკავეს, ოფიციალურად მის მიმართ საქმე სისხლის სამართლის 236-ე მუხლით დაიწყო, რაც საბრძოლო მასალის უკანონო შენახვას გულისხმობს. მოგვიანებით ჭანტურია ბრალის წარდგენის გარეშე გაათავისუფლეს.

რუსთავში, ე.წ. სტამბოლის ბაზრობის ტერიტორიაზე, ყოფილი დეპუტატი, გენერალი სოსო ქუთათელაძე, მოკლული 15 იანვარს იპოვეს.

გენერალი ქუთათელაძე იყო მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი, ეროვნული გვარდიის სარდალი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განათლების დეპარტამენტის უფროსი.

❖ ❖ ❖

გუშინ, 21 იანვარს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რუსთავთან ახლოს, სამართალდამცველებმა, გენერალ სოსო ქუთათელაძის მკვლელობის გამოძიების ფარგლებში, საგამოძიებო ღონისძიებები ჩაატარეს.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამაშველო სამსახურის თანამშრომლები, ადგილობრივი პოლიციის მაღალჩინოსნები. მყვინთავები და მაშველები მდინარე მტკვარში ნავით იყვნენ შესული და მიმდინარეობდა სამძებრო სამუშაოები.

არსებობს ვარაუდი, რომ ქუთათელაძის მკვლელმა, დანაშაულის დაფარვის მიზნით, იარაღი და ტანსაცმელი სწორედ მტკვარში გადაყარა.

სამძებრო სამუშაოები გვიან საღამომდე გაგრძელდა და დაბნელების გამო შეწყდა.

ისინი დღეს განახლდება.



# თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე ბიოექსპერტიზის პასუხი მზად არის

19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალების საქმეზე ბიოლოგიურმა ექსპერტიზამ პასუხები დადო.

როგორც „ნიუპოსტს“ მაჩალიკაშვილის ოჯახის ადვოკატმა მარიამ კუბლაშვილმა განუცხადა, იგი ექსპერტიზის პასუხებს ორშაბათს გაეცნობა.

– სიახლე არის ის, რომ მოსულია ბიოლოგიური ექსპერტიზის პასუხები, რომელსაც ორშაბათს გავეცნობი, – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

# ბათუმის საზღვაო ჰოსპიტალში თანამშრომელი ქალი ლიფტში ჩავარდა

20 იანვარს ბათუმის საზღვაო ჰოსპიტალში თანამშრომელი ლიფტში ჩავარდა. „ბათუმელების“ ინფორმაციით, კლინიკის მეოთხე სართულზე ლიფტი დამლაგებელმა ქალმა გამოიძახა, თუმცა, კარის გაღების შემდეგ მას ლიფტის კაბინა არ დახვდა. ქალმა ეს ვერ შენიშნა და ლიფტში შევიდა.

დაშავებული 45 წლის ქალი კლინიკა „მედინაში“ გადაიყვანეს. მისი მდგომარეობა მძიმეა. როგორც კლინიკაში აცხადებენ, ქალს ხერხემლისა და გულმკერდის მალების კომპრესიული მოტეხილობა, ზურგის ტვინის დაზიანება, ნეკნების ორმხრივი მრავლობითი დაზიანება და პნევმოჰემოთორაქსი აქვს.

დაშავებული კლინიკაში 20 იანვარს, 20:00 საათზე შეიყვანეს.

საზღვაო ჰოსპიტალში მომხდარ შემთხვევაზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსი 124-ე მუხლის შესაბამისად, რაც გაუფრთხილებლობით ჩადენილ ჯანმრთელობის ნაკლებად ან მძიმე დაზიანებას გულისხმობს.



# ნათია სონღულაშვილი სააკაშვილის ექსტრადირებაზე: „მოლოდინის რეჟიმში ვართ“

– მოლოდინის რეჟიმში ვართ, რათა უკრაინის მხარემ შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციები გაატაროს. პროკურატურამ ყველა შესაძლო მტკიცებულება გადააგზავნა უკრაინაში.

ამის შესახებ საპროკურორო საბჭოს წევრმა ნათია სონღულაშვილმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებასთან დაკავშირებული კითხვის პასუხად განაცხადა.

მისივე თქმით, უკრაინული მხარისგან შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების გატარებას ელოდებიან.

– ბრალდების მხარემ საკმარისად მიიჩნია მტკიცებულებები, რომელიც მიგვაჩნია, რომ მის მიმართ საექსტრადიციო გადაწყვეტილების დადებითად მიღების საფუძველი გახდება. ვართ მოლოდინის რეჟიმში, რათა უკრაინის მხარემ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციები და დაველოდებით საბოლოოდ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

ჩვენ, როგორც პროკურატურამ, ყველა შესაძლო მტკიცებულებები გადავაგზავნეთ ამ გადაწყვეტილების მისაღებად სამართლებრივი საფუძვლების შესაქმნელად, – განაცხადა ნათია სონღულაშვილმა.

# დადიანის ქუჩაზე მანქანამ 29 წლის მამაკაცი გაიტანა და მოკლა




თბილისში, დადიანის ქუჩაზე, 29 წლის მამაკაცს მანქანა დაეჯახა. კაცი ადგილზე დაიღუპა. შემთხვევა „ნაძალადევის“ მეტროს მიმდებარედ მოხდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შს სამინისტროს პრესცენტრში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

# აშშ-ში 30 წლის ქართველი ექიმი დავით კანდელაკი მოკლეს

აშშ-ში 30 წლის ქართველი ექიმი დავით კანდელაკი მოკლეს. ქალაქ ლუისვილის პოლიცია ორი ადამიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილს ეძებს.

შემთხვევა ლუისვილის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში მოხდა, სადაც პოლიციამ ორი მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინა. მეორე გარდაცვლილი 31 წლის ჯოშუა რეისია, რომელსაც აღნიშნული სახლი ეკუთვნოდა.

დავით კანდელაკი ხუთშაბათს, 18 იანვარს გაუჩინარდა, რის შემდეგადაც მისმა მეუღლემ პოლიციას მიმართა.



# ქაბულში სასტუმროზე თავდასხმას 43 ადამიანი შეეწირა

20 იანვარს, ადგილობრივი დროით 21 საათზე, ქაბულის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ 5 შეიარაღებული პირი შეიჭრა და სტუმრებს ცეცხლი გაუხსნა. თავდასხმის დროს სასტუმროში საინფორმაციო ტექნოლოგიების თემაზე კონფერენცია იმართებოდა.



თავდასხმის შემდეგ ცეცხლი გაჩნდა სასტუმროს მეოთხე სართულზე.

თავდამსხმელები სასტუმროს 18 საათის განმავლობაში იკავებდნენ, რის შემდეგაც ავღანეთის ხელისუფლებამ შენობის გასათავისუფლებლად სპეცოპერაცია ჩაატარა.

გუშინდელი საღამოს მონაცემებით, ინციდენტის შედეგად 43 ადამიანია დაღუპული. დაღუპულებს შორის უცხოელებიც არიან.

შენობა გათავისუფლებულია და ხუთივე თავდამსხმელი ლიკვიდირებულია.

# ნაციონალ კვახაძეზე თავდამსხმელ შოთა ისაკაძეს 5.000-ლარიანი გირაო შეეფარდა



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს წევრ ალექსანდრე კვახაძის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე დაკავებულ შოთა ისაკაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით 5000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გუშინ, 21 იანვარს, მიიღო.

გირაოს გადახდამდე შოთა ისაკაძე პატიმრობაში რჩება. მას გადახდის ვადად 20 დღე განესაზღვრა.

პროკურატურა ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდებას ითხოვდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა 1990 წელს დაბადებული შოთა ისაკაძე ძალადობის ბრალდებით 19 იანვარს დააკავეს.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრმა ალექსანდრე კვახაძემ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ მას თავს დაესხნენ.

მისივე თქმით, თავდამსხმელები კონკრეტულ თანხას ითხოვდნენ და უარის მიღების შემდეგ ფიზიკურად გაუსწორდნენ. კვახაძემ აღნიშნა, რომ ფიზიკური დაზიანებები მას საკუთარ სახლთან მიაყენეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ივანიშვილმა სერგეენკო და კვირიკაშვილი დაიწუნა

შორენა მარსაგიშვილი

მმართველ გუნდში საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადებიან. დარწმუნებით ამბობენ, რომ გამარჯვებული მათი კანდიდატი იქნება, თუმცა ვერ აკონკრეტებენ, თუ ვინ იქნება ეს იღბლიანი.

არადა, „ქართულ ოცნებაში" კანდიდატურების შერჩევა ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო. როგორც „ოცნებასთან" დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას" უთხრა, მმართველ გუნდს ივანიშვილმა კანდიდატების შერჩევის უფლება მისცა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, დაახლოებით ისეთივე სურათი იხატება, როგორიც დედაქალაქის მერის კანდიდატის შერჩევის დროს იყო.

ჩვენს მკითხველს ემახსოვრება, რომ „ოცნებამ" მერობის კანდიდატი ყველაზე გვიან დაასახელა. მაშინ ივანიშვილი ამ საქმეში არ ჩარეულა. მეოცნებეებმა ბოლომდე ვერ გაარკვიეს, რომელი უფრო მისაღები იქნებოდა მათთვის – კახა კალაძე თუ დავით ნარმანია. საბოლოოდ კალაძის კანდიდატურაზე შეჩერდნენ, ისიც იმიტომ, რომ შიდასარეიტინგო კვლევამ ნარმანიასთან დაკავშირებით კატასტროფული შედეგები აჩვენა.

შიდასარეიტინგო კვლევებს „ქართული ოცნება" საპრეზიდენტო არჩევნებისთვისაც ჩაატარებს. ეს იმ შემთხვევაში არ მოხდება, თუ კანდიდატის რეიტინგს თავისი პარამეტრებით პირადად ივანიშვილი გაზომავს.

გასული წლის ბოლოს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ოცნებაში" ყველაზე აქტიურად გიორგი კვირიკაშვილისა და მიხეილ ჯანელიძის კანდიდატურები განიხილებოდა. გასულ კვირას დავით სერგეენკოზეც გავრცელდა ინფორმაცია.





**„ოცნებაში" საპრეზიდენტო კანდიდატურების შერჩევაზე კასტინგი გამოცხადდა**

გიორგი კვირიკაშვილმა პრეზიდენტის პოსტზე თავისი კანდიდატურის დასახელება კატეგორიულად გამორიცხა. „ახალი თაობის" წყაროს ინფორმაციით, მან ამის შანსი ნიკა მელიას კეთილების საჯაროდ მოკითხვის შემდეგ დაკარგა.

„თაიმერის" ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა დავით სერგეენკოს კანდიდატურაც დაიწუნა. არადა, ყოფილი პრემიერი ჯანდაცვის მინისტრის მიმართ დადებითად იყო განწყობილი. მისი კანდიდატურა ერთ დროს პრემიერის პოსტზეც მოიაზრებოდა.

როგორც „ახალ თაობას" უთხრეს, „ოცნებაში" სერგეენკოს გვარის გაჟღერებამ გარკვეული ჯგუფები შეაშფოთა. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, შემთხვევითი არ არის, რომ რამდენიმე დღის წინ სერგეენკოს გარშემო ხმაურიანი სკანდალი აგორდა. საუბარია ვადაგასული ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინების გამოყენებაზე. მოგვიანებით აუდიტის სამსახურმა თავის მიერვე გავრცელებული ინფორმაცია უარყო, მაგრამ სასურველი შედეგი მიღწეულია – უარყოფის მიუხედავად, ყველა მას აგინებს.

„ოცნების" წევრი „თაიმერთან" საუბარში ამბობს, რომ ივანიშვილს ყველაზე მეტად მიხეილ ჯანელიძის კანდიდატურა მოსწონს. ის ვარაუდობს, რომ საპრეზიდენტო კანდიდატი სწორედ საგარეო საქმეთა მინისტრი იქნება.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეოცნებეთა კანდიდატად მოიაზრებოდა სალომე ზურაბიშვილიც. პარლამენტის კულუარებში ამბობდნენ, რომ „ოცნების" მომდევნო კანდიდატი ქალი იქნებოდა.

პარლამენტის სპიკერი ირაკლი კობახიძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის პოსტისთვის ყველაზე კარგი კანდიდატურა მეცნიერი იქნება.

გავრცელებული ინფორმაციით, ინტელიგენციის ნაწილმა „ოცნებას" შესთავაზა, პრეზიდენტობის კანდიდატად ლადო პაპავა დაასახელონ, ინტელიგენციის მეორე ნაწილი კი დავით საგანელიძისა და კარასინთან მოლაპარაკე ზურაბ აბაშიძისკენ იხრება.

მართალია, ჯერ კანდიდატურაზე ვერ ჯერდებიან, მაგრამ, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, დასახელებულს წინასწარ დაადებინებენ პირობას, რომ ავლაბრის პრეზიდენტის სასახლეში არ შევა.

მაგის პირობას თავის დროზე გიორგი მარგველაშვილიც დებდა, მაგრამ ისე გამაგრდა მიშასეულ სასახლეში, ივანიშვილმაც კი ვერ გამოიყვანა გარეთ.

# ეყოლება თუ არა ოპოზიციას პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატი

## კონსტანტინე გამსახურდია: „ოცნების" საპრეზიდენტო კანდიდატი უფრო მოულოდნელი იქნება"

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საპრეზიდენტო კანდიდატებზე საუბრობს.

***– ბატონო კონსტანტინე, ექსპერტები ამბობენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ოპოზიცია ერთიანი კანდიდატის ირგვლივ თუ ვერ შეძლებს გაერთიანებას, მაშინ მისთვის ეს არჩევნები იქნება მხოლოდ დათვალიერება, რეიტინგების განსაზღვრა და სხვა არაფერი. თუ აცნობიერებს ამას ოპოზიცია?***

– ძალიან რთული და კომპლექსური საკითხია. შეიძლება აცნობიერებდეს, მაგრამ რეალობა ან შესაძლებლობები იყოს სხვაგვარი. ასე მარტივად არ დგას საქმე, რომ ყველა ოპოზიციამ, განურჩევლად შეხედულებებისა, იდეოლოგიისა, წარსულისა და მომავლისა, ყველაფრის მიუხედავად, შეძლოს ერთი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანება. ჯერ ამ საკითხზე ოპოზიციაში საუბრები, კონსულტაციები არ ყოფილა. ალბათ, შესასრულებლად ეს რთული ამოცანა იქნება. თუმცა, დაველოდოთ მოვლენებს. არასდროს არ არის არაფერი გამორიცხული.

***– როგორ ფიქრობთ, „ქართულ ოცნებას" გაუჭირდება კანდიდატის შერჩევა?***

– არა, რატომ უნდა გაუჭირდეს. თუმცა, ჯერ ოფიციალურად, მე რამდენადაც ვიცი, არც სახელისუფლებო პარტიაში მომხდარა კანდიდატზე შეთანხმება. ისე, სიმართლე გითხრათ, მართლაც არ იქნება ეს მარტივი საქმე არც ხელისუფლების გუნდის შიგნით. ალბათ, ყველა თავის კაცს ექაჩება. თუმცა, გადაწყვეტილებას, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ ერთი კაცი მიიღებს. ეს, იცით, როგორ არის? შილერის ცნობილი დრამა თუ გახსოვთ, სწორედ ისე განვითარდება მოვლენები, როგორც შილერმა ასახა თავის დრამაში. ბიძინა ივანიშვილს ასევე შეუძლია, როგორც ამ დრამაშია გადმოცემული, ჯოხზე ჩამოაცვას ქუდი და თქვას, რომ ეს არის საპრეზიდენტო კანდიდატი და „ქართული ოცნების" აქტივი აირჩევს სწორედ ამ კანდიდატს.

***– ვინც არ უნდა იყოს ეს კანდიდატი?***

– ჰო, არც ასეა საქმე. ალბათ, ხელისუფლება და მმართველი კოალიცია შეეცდებიან, ისეთი ადამიანი არ დააყენონ საპრეზიდენტო კანდიდატად, რომლის წინააღმდეგაც შეიძლება შავი პიარისთვის დიდი ძალისხმევა არავის დასჭირდეს. ხომ წარმოგიდგენიათ, მაგალითად, კვირიკაშვილის შემთხვევაში, თუ ის გახდა საპრეზიდენტო კანდიდატი, თუმცა, მან თითქოს ეს უარყო და თქვა, არ ვიქნები კანდიდატიო, მაგრამ ტელევიზიით დღეში 50-ჯერ როგორ გავა კადრი, თუ როგორ იგინება პრემიერი პარლამენტის სივრცეში. ეს არ იქნება მარტივი საყურებელი არც ამომრჩევლისთვის და, მერწმუნეთ, არც „ქართული ოცნებისთვის". ამიტომ, არა მგონია, გიორგი კვირიკაშვილი იდეალური კანდიდატი იყოს სახელისუფლებო გუნდისთვის. როგორც ჩანს, ამის გაცნობიერება მოხდება. ეს ეპიზოდი საკმაოდ დამაზიანებელი ფაქტი იყო კვირიკაშვილისთვის. ნებისმიერი ადამიანისთვის ასე იქნებოდა.

***– ერთ-ერთი ვერსიით, თითქოს დავით სერგეენკო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მანაც უარყო ეს ინფორმაცია.***

– დიახ, ეს იყო სოციალურ ქსელში გარკვეული ბლოგერებისა და ჟურნალისტური წრეებისგან წამოსული ვერსია და მას არავითარი საერთო არ ჰქონდა რეალობასთან. დღემდე დავით სერგეენკო ნამდვილად არ გვინახავს მსგავს ამპლუაში, ასე საქვეყნოდ მისი გინება არ მოგვისმენია, მაგრამ, რამდენად იქნება ის საპრეზიდენტო კანდიდატი, ვერ გეტყვით.

მე სულაც არ გამოვრიცხავ, რომ მოულოდნელი კანდიდატი, ე.წ. ნაკლებად პოლიტიკური ფიგურა დაასახელოს სახელისუფლებო პარტიამ საპრეზიდენტო კანდიდატად. მე რატომღაც მგონია, რომ ეს უფრო ერთგვარი სიურპრიზი იქნება, ვიდრე წინასწარ გაშიფვრადი კანდიდატი.



***– ისე, რაც შეეხება გინებას, ასეთი შეფასებებიც იყო, ზვიად გამსახურდიას პარლამენტშიც იგინებოდნენ და შევარდნაძის პარლამენტშიცო.***

– არათუ პარლამენტში, საჯარო ტრიბუნაზე, მიტინგზე თუ ქუჩაში, სახლშიც კი არ გამიგია ზვიად გამსახურდიასგან გინება, არც საჭესთან არ გამიგია მსგავსი უხამსი სიტყვები. რაც შეეხება პარლამენტს, როდესაც ოპოზიცია აიშალა და შეიარაღებულ სეგმენტს დაუკავშირდა, დაპირისპირება იყო, მაგრამ დაპირისპირება იყო მთელ ქვეყანაში, თუმცა მე ვერ ვიხსენებ მსგავს სიტყვას ზვიად გამსახურდიასგან.

***– კვლავ არჩევნებს რომ დავუბრუნდეთ, გამოდის, ეს არჩევნები კონკურენტუნარიანი არ იქნება?***

– თუ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ალბათ, ასეა, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად კონკურენტუნარიანი არჩევნები იქნება. როგორ უნდა იყოს კონკურენტუნარიანი არჩევნები, როდესაც ამომრჩევლის 30%, თუ მეტი არა, სრულ ნიჰილიზმშია, რომლისთვისაც ყველა და ყველაფერი მიუღებელია. ეს არის ტოტალური ნიჰილიზმი და ნეგატივი. ეს ნაწილი, ალბათ, ფიქრობს, როგორ გაიქცეს ქვეყნიდან და უშველოს თავს. ამ მოცემულობაში მაღალი დონის პოლიტიკურ სტანდარტებზე საუბარი სრული არარეალობა იქნებოდა.

# სააკაშვილმა მოსახლეობას კიევის სააპელაციო სასამართლოსთან შეკრებისკენ მოუწოდა

სააკაშვილმა მოსახლეობას მოუწოდა, დღეს, 22 იანვარს, კიევის სააპელაციო სასამართლოსთან შეიკრიბონ.

ამის გარდა, ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა, მიხეილ სააკაშვილმა, ყველა ოპოზიციურ ლიდერს გაერთიანებისკენ მოუწოდა.

მან „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე ვიდეომიმართვა გამოაქვეყნა, რომელშიც აღნიშნა, რომ ორშაბათს უკრაინის უმაღლეს სააპელაციო სასამართლოში მისი დეპორტაციის საკითხი განიხილება.

სააკაშვილის თქმით, ადგილობრივ ხელისუფლებას არ სურს, რომ უკრაინის მოქალაქეებმა კორუფციის წინააღმდეგ იბრძოლონ და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ.

სააკაშვილმა მოსახლეობას მოუწოდა, 22 იანვარს კიევის სააპელაციო სასამართლოს შენობასთან




10:00 საათზე შეიკრიბონ. მისი თქმით, ის ევროპის რამდენიმე ქვეყანამ მიიწვია, მაგრამ უკრაინაში დარჩენასა და ბრძოლის გაგრძელებას აპირებს.

ინტერპრესნიუსი

# პოროშენკომ საქართველოს შესთავაზა, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მექანიზმში ჩაერთოს



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ საქართველოს შესთავაზა, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მექანიზმში ჩაერთოს.

ამის შესახებ ნათქვამია უკრაინის პრეზიდენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში, რომელიც პეტრო პოროშენკოსა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძეს შორის გამართულ შეხვედრას ეხება.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ დროისთვის მიმდინარეობს მუშაობა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მექანიზმის სრულყოფაზე და ქართულ მხარეს შეუძლია, მას შეუერთდეს.

– ამით შეიძლება მეტი ყურადღება მივიპყროთ და ევროპას სტიმული მიეცეს, გააგრძელოს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ საქართველოს კომპონენტი, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხიდან გამომდინარე, – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

ინტერპრესნიუსი

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ნაცები და არასამთავრობოები ქისტების წაქეზებას ცდილობენ“

რა ჩანაფიქრი აქვთ ნაციონალურ მოძრაობასა და არასამთავრობოების ნაწილს, რატომ უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე პანკისის ხეობის უხუცესებმა, რა თამაშს თამაშობს სახალხო დამცველი, რა საფრთხეები ელოდება საქართველოს მეზობელი სახელმწიფოებისგან? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

შორენა მარსაგიშვილი

***– გასულ კვირას საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია პანკისის ხეობაში იმყოფებოდა. თქვენ მას ლამის შუღლის გაღვივება და პროვოკაციის მოწყობა დასდეთ ბრალად. თქვენი აზრით, სახალხო დამცველს არა აქვს უფლება, რომელიმე რეგიონში ჩავიდეს?***

– სახალხო დამცველს ყველგან შეუძლია ჩასვლა, მათ შორის პანკისშიც, მაგრამ გააჩნია, რა განცხადებებს გააკეთებს. ნინო ლომჯარიამ განაცხადა, რომ ის სამართალდამცავებსა და დაღუპული მაჩალიკაშვილის ახლობლებს შორის შუამავლის ფუნქციას იკისრებდა. სახალხო დამცველის აპარატი არ არის სამშვიდობო ძალები და არც ხელისუფლებას სჭირდება მოსახლეობასთან ვინმეს შუამავლობა.

კიდევ უფრო აღმაშფოთებელია, რომ ოპოზიციისა და არასამთავრობოების ნაწილი ამ თემით ცდილობენ ქულების დაწერას. აქამდე არასდროს მომხდარა, რომ ტელევიზიებს დაკრძალვიდან ჰქონოდათ პირდაპირი ჩართვები. მაჩალიკაშვილის დაკრძალვაზე ამის მომსწრენიც გავხდით.

ეს ყველაფერი გამიზნულად გაკეთდა – ნაციონალები თავიანთ სატელიტებთან და მათ მიერ მართულ მედიასაშუალებებთან ერთად ქისტების წაქეზებას ცდილობენ, უნდათ, რომ პანკისში მცხოვრები ქისტები და ჩეჩნები საქართველოს ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ.

პანკისში მყოფმა შალვა ნათელაშვილმა პირდაპირ მოუწოდა ადგილობრივებს აქციების დაწყებისკენ. ნაციონალების ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, თუ პანკისელები აქციებს დაიწყებენ, ჩვენ სოლიდარულები ვიქნებითო.

***– ეს განცხადებები რატომ არის სახიფათო?***

– იმიტომ, რომ ეს არის პირდაპირი მოწოდება არეულობისკენ. ნაციონალები და მათი სატელიტები რომ პანკისში ხელოვნურად ცდილობენ ვითარების დაძაბვას, ამის შესახებ ფეისბუქის ჩემს გვერდზეც დავწერე. ამას შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე გამოეხმაურა. მან გაიხსენა, როგორ ცდილობდა ნაციონალური მოძრაობა 2003 წლისთვის, პანკისში არეულობა მოეწყო.

***– ნაციონალები მაშინ არაფერ შუაში იყვნენ. პანკისში არეულობა ჯერ კიდევ 1999 წლიდან დაიწყო. იქ ათასი ჯურის კრიმინალმა მოიყარა თავი. სხვა დანაშაულებს რომ თავი დავანებოთ, ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებულ ადამიანებს იქ მალავდნენ.***

– ეგ თავიდან იყო არეულობა. 2002 წელს იქ ძალოვნებმა სერიოზული ოპერაცია ჩაატარეს და სიტუაცია დალაგდა. ამის შემდეგ შეეცადნენ ნაციონალები არეულობის შეტანას ხეობაში. ახლაც იგივე ხდება. გამოდიან ნაციონალები თავიანთ არასამთავრობოებთან ერთად და ხელისუფლებას ხალხთან დალაპარაკებისკენ მოუწოდებენ.

ამიხსენით, რა შუაშია აქ ხალხთან დალაპარაკება. იმერეთში ან გურიაში რომ სპეცოპერაცია ჩაატარონ, ხომ არავინ მოითხოვს იქაურებთან დალაპარაკებას. არც იმას იტყვის ვინმე, რომ ეს იმერლების ან გურულების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაცია იყო. მაშ, რატომ არის პანკისი გამონაკლისი. იქ ჩატარებული სპეცოპერაცია რატომ არის ქისტების წინააღმდეგ მიმართული?

ასე არც თავად ადგილობრივები ფიქრობენ, არასამთავრობოები და ნაცები უჩიჩხინებენ, გინდა თუ არა, თქვენ წინააღმდეგ იყო მიმართულიო. ხელოვნურად ძაბავენ სიტუაციას. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები.

***– ამ ლოგიკით „ქართული ოცნებისა“ და არასამთავრობოების ნაწილიც ანტისახელმწიფოებრივად იქცეოდა, როცა 2012 წლის ლაფანყურის სპეცოპერაციით ცდილობდა ქულების დაწერას. მაშინ ისინიც ამბობდნენ, რომ ეს პანკისელების წინააღმდეგ იყო მიმართული.***

– ლაფანყურის საქმე გამოძიებულია. ისიც დადასტურებულია, რომ იქ ხალხი შეიტყუეს. ეს საქმე წარსულია და მას პანკისში დაძაბულობა არ მოჰყოლია. ახლა სხვანაირად არის საქმე – ყველაფერი კეთდება, რომ პანკისში დაძაბულობის კერა შეიქმნას. ეს საქართველოსთვის შეიძლება ცუდად დასრულდეს.

პანკისის მიმართ თავისი ინტერესები აქვს რუსეთს. ისინი 3-4 თვეში მაინც ახსენებენ ამ რეგიონს და ამტკიცებენ, რომ იქ ტერორისტები არიან. პანკისში სპეცოპერაციის ჩატარებამდე რამდენიმე დღით ადრე რამზან კადიროვმა თქვა, რომ იქ ტერორისტები იყვნენ.

პანკისის მიმართ კადიროვსაც თავისი ინტერესები აქვს. იქ, ქისტების გარდა, ცხოვრობენ გროზნოდან წამოსული ჩეჩნები, რომლებიც სოლიდარული არიან იმ ჩეჩნების მიმართ, რომლებიც რუსეთს ებრძვიან. აქედან გამომდინარე, კადიროვსა და რუსეთს უნდათ, რომ როგორმე შეაღწიონ იქ.

პანკისელი ქისტები ყოველთვის სახელმწიფოებრივი პოზიციით გამოირჩეოდნენ. ახლა, ეტყობა, მაგათ შორისაც იპოვეს ნაცებმა პროვოკატორები და ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებინებენ. ერთმა მათგანმა განაცხადა, კახეთის გუბერნატორი დაგვემუქრა, ისე უნდა გადაგიაროთ, როგორც კადიროვმა გადაუარა სალაფიტებსო.

***– თუ დაემუქრა მათ ირაკლი ქადაგიშვილი, არ უნდა ეთქვა?***

– ეგეც საკითხავია, რამდენად დაემუქრა. რატომ უნდა დავუჯეროთ იმ ადამიანს. ქადაგიშვილის პოზიციაც მოისმინა ვინმეს. ერთ-ერთი მათგანი გამოვიდა და დაიჩივლა, საქართველოს ხელისუფლება ყურადღებას არ გვაქცევსო. ისინი ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან და ამ ხელისუფლების მიმართ მადლობის მეტი არაფერი ეთქმით.

***– ამ ხელისუფლებას რატომ უნდა უთხრან მადლობა? ეგენი საუკუნეებია, პანკისში ცხოვრობენ, „ოცნებამ“ კი არ ჩამოასახლა. ისინი არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები და ბევრი მათგანი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში.***



– ამ შემთხვევაში მე ქისტებზე არ ვსაუბრობ, ისინი ჩვენი ძმები არიან და რაზეა ლაპარაკი. მე იმ ხალხზე ვლაპარაკობ, რომლებიც ჩეჩნეთიდან ლტოლვილების სტატუსით ჩამოვიდნენ, ზოგი ევროპაში წავიდა საცხოვრებლად, ზოგი აქ დარჩა. ამ ადამიანებს არ ეთქმით საქართველოს ხელისუფლების მიმართ საყვედური.

იმის გამო, რომ ისინი შევიფარეთ, რუსეთთან არაერთი პრობლემა შეგვექმნა. რამდენჯერ დაბომბა რუსულმა ავიაციამ ამის გამო საქართველოს ტერიტორია. მათი შეფარების გამო დაგვიწესა რუსეთმა თავის დროზე სავიზო რეჟიმიც.

მესმის, რომ მათ გული სტკივათ ახალგაზრდის დაღუპვაზე, მაგრამ ყველაფერი ხომ არ უნდა იკადრო? ეს არ არის სწორი.

არც იმაზე ხაზგასმაა სწორი, რომ პანკისში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა. მთელ საქართველოს უჭირს და პანკისი ხომ არ იქნება შვეიცარია? ჩადით და ნახეთ, რა ხდება გურია-სამეგრელოში.

***– იქაც მძიმე მდგომარეობაა. იქაურები ამას აპროტესტებენ და პანკისელებმა ამაზე რატომ არ უნდა ამოიღონ ხმა?***

– ხმა როგორ არ უნდა ამოიღონ, მაგრამ ისეთი სურათის დახატვა, რომ მხოლოდ მანდ არის ცუდად საქმე, არ შეიძლება. ჩადით და ნახეთ, გურიაში რა ხდება, ფაროსანამ ხალხი მშიერი დატოვა.

არასამთავრობოები, ნაციონალები და მათი სატელიტები ცდილობენ, ისე წარმოაჩინონ, თითქოს პანკისელების დისკრიმინაცია ხდება. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს მოღალატეები რელიგიური შუღლის გაღვივებასაც ცდილობენ.

ყველას ადათ-წესებს პატივს ვცემ, მაგრამ, ის აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ საქართველოს არცერთი რეგიონი უხუცესთა საბჭოებით არ უნდა იმართებოდეს. ჩვენ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და გვაქვს კონსტიტუცია. კონსტიტუცია უხუცესთა საბჭოებს არ ცნობს.

***– კონსტიტუცია არც არაფორმალურ მმართველ ცნობს, მაგრამ მართავს ქვეყანას ასეთი მმართველი.***

– მე მგონია, რომ არაფორმალური მმართველი არ გვყავს ჩვენ. ვილაცები თუ ამბობენ, რომ ივანიშვილი მართავს ქვეყანას, ეგ ჭეშმარიტებას არ ნიშნავს. უხუცესთა საბჭოს პატივს ვცემ, მაგრამ საქართველოს ყველა რეგიონი არსებული კანონმდებლობით უნდა იმართებოდეს.

თავის დროზე სვანეთშიც იყვნენ უხუცესები, მათაც დიდი გავლენა ჰქონდათ, მოსამართლის ფუნქციასაც კი ითავსებდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

***– პანკისელი უხუცესები სასამართლოს ფუნქციას სულაც არ ითავსებენ.***

– გასაგებია, მაგრამ ისინი ამბობენ, სპეცოპერაციამდე ჩვენთვის მოგემართათო. მათთვის რატომ უნდა მიემართათ? როდესაც სახელმწიფო ანტიტერორისტულ ოპერაციას ატარებს, ეს სამოქალაქო პირებს რატომ უნდა შეუთანხმოს? უხუცესების გაფრთხილება საჭირო არ იყო და არ მესმის, რატომ მოჰყვა ამას ასეთი აჟიოტაჟი.

***– ამას ასეთი აჟიოტაჟი იმიტომ მოჰყვა, რომ რამდენიმე წლის წინ სწორედ ამ უხუცესებმა სთხოვეს ხელისუფლებას, იქნება ხეობას ყურადღება მიაქციოთ, რადიკალური ისლამი გაძლიერდა და ახალგაზრდები სირიაში მიდიანო. ხელისუფლებამ მაშინ რატომ არაფერი იღონა?***

– რა უნდა გაეკეთებინა საქართველოს ხელისუფლებას? სირიაში საქართველოდან კი არა, მთელი მსოფლიოდან წავიდა ხალხი საომრად. ადამიანი საზღვარს რომ კვეთს და საბუთები წესრიგში აქვს, რატომ უნდა შეუშალონ ხელი მას? შუბლზე არავის აწერია, რომ ისლამურ სახელმწიფოში საომრად მიდის.

***– ეს შუბლზე მართლა არავის აწერია, მაგრამ სპეცსამსახურებს არ უნდა სცოდნოდათ, რადიკალური ისლამის მიმდევრები ახალგაზრდების გადაბირებას რომ ახდენდნენ?***

– სპეცსამსახურებმა ამ მიმართულებით იმუშავეს და რამდენიმე პირიც დააკავეს. ასეთი რამეების დადგენა ადვილი არ არის. ეს საქართველოს კი არა, ყველაზე განვითარებულ ქვეყნებსაც უჭირთ.

სპეცოპერაციასთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხს გამოძიება გასცემს. გამოძიებას ყველა ერთად უნდა დაველოდოთ. თუ ვინმეს მხრიდან გადაცდომას ჰქონდა ადგილი, ის კანონით დაისჯება. დაუშვებელია ამ პირის პანკისელებისთვის გადაცემა, როგორც ამას ზოგიერთი ითხოვს.

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ყველას ადათს პატივს ვცემ, მაგრამ უხუცესებმა არ უნდა გვიკარნახონ, როგორ მოვიქცეთ, მით უმეტეს მაშინ, როცა საქმე ტერორიზმს ეხება. დადასტურებულია, რომ ახმედ ჩატაევი საქართველოში შემოვიდა. ის იყო საერთაშორისო ტერორისტი და ხელისუფლება ვალდებული იყო, მისი მხარდამჭერები დაედგინა და დაეკავებინა.

***– ხელისუფლებას ისიც უნდა დაედგინა, თუ ვინ და რატომ გამოუშვა ჩატაევი 2013 წელს ციხიდან.***

– ეგ ყველაფერი დადგენილია. მის გათავისუფლებას ის არასამთავრობოები ითხოვდნენ, ახლა ყველაზე მეტს რომ ყვირიან. 2013 წელს ჩატაევი ტერორისტი არ ყოფილა. ასე რომ, მის გათავისუფლებაში რაიმე პრობლემა არ არსებობს.

ვერც იმ ხალხს გავამართლებ, ვინც ჩატაევის შემოსვლის გამო საყვედურობს საქართველოს ხელისუფლებას. ტერორისტები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში შედიან და საშინელ ტერაქტებს აწყობენ. ჩვენთან ტერაქტები თავიდან იქნა აცილებული. ეს უნდა დავინახოთ. ტერორისტების შესვლისგან, სამწუხაროდ, არცერთი ქვეყანა დაცული არ არის.

***– ტერორისტსაც გააჩნია, ჩატაევის დონის ტერორისტი სხვა ქვეყანაში არ შესულა, თან ამ ადამიანის ამოცნობა ძალიან მარტივად შეიძლებოდა, ცალი ხელი და ცალი ფეხი აკლდა.***

– საზღვარზე რომ შემოსულიყო, ამოიცნობდნენ და დააკავებდნენ კიდეც. ის საზღვრის გვერდის ავლით შემოვიდა. ეს ცუდი ფაქტია, მაგრამ ამისგან არცერთი ქვეყანა დაზღვეული არ არის.

ნაცებსა და მოღალატე არასამთავრობოებს კი ვურჩევ, რელიგიური შუღლის გაღვივებას შეეშვან. სწორედ მათი ანგარიშების წყალობით იწერება დასკვნები, რომ საქართველოში მუსლიმების უფლებები ირღვევა. რატომღაც გვავიწყდება, რომ მუსლიმებით ვართ გარშემორტყმული. ვინ არის იმის გარანტი, რომ ერთ დღეს თურქეთი ქართველი მუსლიმების დასაცავად საქართველოს ტერიტორიაზე არ შემოიჭრება? ვინ გაუწევს მაგათ წინააღმდეგობას.

შემოჭრამდე საქმე არ მივა, მაგრამ წინააღმდეგობის გამწევიც არავინაა. დიდგორობის უქმე დღედ გამოცხადება უნდოდათ და თურქეთის საელჩოს ერთი განცხადების შემდეგ უკან დაიხიეს.

საქართველო ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ამიტომ, კარგი იქნება, თუ ხელისუფლება კარგად შეისწავლის არასამთავრობოების წარმომავლობასა და დაფინანსების წყაროებს. მათი განცხადებები საქართველოს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. საქართველოს მსგავსად, ისრაელიც მუსლიმანური ქვეყნებით არის გარშემორტყმული. ისრაელში ვინმემ რომ გაბედოს იმის თქმა, რომ მუსლიმების უფლებები ირღვევა, მაშინვე ვირის აბანოში უკრავენ თავს. ჩვენთანაც ასე უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ რელიგიური ნიშნით არავის ავიწროებენ.

# ჯორჯ სოროსი: „სააკაშვილთან დამოკიდებულება ჩემთვის მტკივნეული გაკვეთილია“

„ცნობილი მილიარდერის ჯორჯ სოროსის ფონდი, რომელიც ოდესღაც ევროპაში დემოკრატიის გავრცელების სიმბოლო იყო, დღეს ნაციონალისტთა თავდასხმის ობიექტად იქცა“, – აღნიშნულია ბრიტანული Financial Times-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

გთავაზობთ ამონარიდებს ენდრიუ ბირნის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიიდან:

– სოროსის ფონდი ამჟამად თითქმის 140 ქვეყანაში მოქმედებს და ხშირად მხარს უჭერს ისეთ ჯგუფებს, რომლებიც ხელისუფლებასთან ოპოზიციაში იმყოფებიან. სხვა მეცენატები და ქველმოქმედები ამგვარ პროდემოკრატიულ პრინციპებს თავს არიდებენ, ჯორჯ სოროსი კი პირიქით აკეთებს ხოლმე. იგი ასევე ითვლება აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ მსხვილ მხარდამჭერად. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია ის, რომ ამერიკელი დემოკრატები პირადად ჯორჯ სოროსისაგან შეწირულობას იღებენ.

თუმცა, ზოგიერთების აზრით, ჯორჯ სოროსი ხშირად არასწორ აქცენტებს აკეთებს და წინააღმდეგობრივ ფიგურად წარმოჩნდება ხოლმე. ბოლო დროს მის მიმართ ბრალდებები გაისმა, რომ წლების წინ მილიარდერი ქართულ ოპოზიციას საქართველოს ხელისუფლების დამხობაში დაეხმარა, მისი კვალი ჩანს უკრაინაში და ამ რამდენიმე თვის წინ უნგრეთსა და მაკედონიაში მომხდარ ამბებში. ამასთან, ჯორჯ სოროსი ბრალდებებს უარყოფს. მილიარდერის აზრით, მისი მისამართით განხორციელებული თავდასხმების ინიციატორს რუსეთი წარმოადგენს, რასაც ამ ქვეყნის პრეზიდენტის პირადული მოტივებით ხსნის: „ვლადიმერ პუტინს მე არ ვუყვარვარ“, – ამბობს ჯორჯ სოროსი და ამის მიზეზად იმ მხარდაჭერას ასახელებს, რომელიც მან საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გაუწია, „ვარდების რევოლუციის“ მოხდენისა და ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით 2003 წელს.

ამასთან, ჯორჯ სოროსი შეცდომებსაც აღიარებს: მაგალითად, საქართველოს ყოფილი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც იგი ადრე მხარს უჭერდა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არც ისეთი სანიმუშო ქომაგი აღმოჩნდა ღია საზოგადოების ფასეულობების ერთგულების საკითხში, როგორიც იგი ადრე, ოპოზიციაში ყოფნის დროს იყო“, – წერდა ჯორჯ სოროსი 2011 წელს.

საერთოდ, ჯორჯ სოროსის დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილთან, რომელიც საქართველოს პრეზიდენტობის შემდეგ უკრაინაში გუბერნატორი გახდა, ახლა კი სისხლის სამართლის დევნის ობიექტად იქცა, მილიარდერისათვის „მტკივნეული გაკვეთილი“ იყო: როგორც იგი ამბობს, „სადაც ჩემი ფონდები მოქმედებს, იმ ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში ჩარევისაგან თავი შორს უნდა დავიჭიროო“. ჯორჯ სოროსი აღიარებს, რომ ბევრი პროექტი თეორიულად იოლად განსახორციელებელი ჩანს, თუმცა პრაქტიკაში უფრო რთულია.

# თურქი ექსპერტები: „თურქეთი შეიძლება აიძულონ, მსხვილმასშტაბიან ომში ჩაებას“

## ახლო აღმოსავლეთში ქიმიური ტერორიზმის საფრთხეც არსებობს

მარიამ მჭედლიშვილი

სირიაში, ომის დამთავრებულად გამოცხადების მიუხედავად, მშვიდობა მოსალოდნელი არ იყო. ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო“ ბოლომდე დაშლილი არ არის. სირიასა და ერაყში ჯერ კიდევ რჩებიან მისი წევრი ჯიჰადისტები. სირიაში მოქმედებას აგრძელებენ ე.წ. ზომიერი ოპოზიციონერები, რომლებიც უპირისპირდებიან როგორც ასადის რეჟიმს, ისე „ისლამურ სახელმწიფოსა“ და „ჯებხატ ან ნუსრას“.

ამას ემატება თურქეთის ტრადიციული დაპირისპირება ქურთებთან. თურქეთის მხრიდან სირიის ქურთებით დასახლებულ პროვინციაზე შეტევა მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მსოფლიოსთვის. ექსპერტები რამდენიმე თვის წინაც საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ სირიაში საგრძნობლად გააქტიურებული და რუსეთთან და ირანთან შეკრული ანკარა სირიელ ქურთებზე იერიშს მიიტანდა. ამ თავდასხმას 9 კაცი ემსხვერპლა, 13 კი დაიჭრა.

ამის შემდეგ თურქეთის ტერიტორია გახდა სირიიდან სარაკეტო თავდასხმის ობიექტი.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა თავისი ოპერაციის შესახებ წინასწარ ჩააყენა საქმის კურსში ვაშინგტონი და მოსკოვი, მას მხარდაჭერა ოპერაციაზე არ მიუღია.

თურქი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ მოვლენებამდე სირიაში მყოფმა ქურთებმა მიიღეს შეიარაღება აშშ-სგან, რამაც კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია რეგიონში. თურქი ექსპერტების აზრით, შესაძლოა, ანკარა აიძულონ, ჩაებას მსხვილმასშტაბიან ომში, სადაც ერთ მხარეს თურქეთი იქნება, მეორე მხარეს – აშშ. მათი ნაწილი გამოსავალს ქვეყნის ფედერალიზაციაში ხედავს, რისთვისაც თურქეთი ამჟამად მზად არ არის.

ამ მოვლენებმა, სავარაუდოდ, გაზარდა სირიიდან ლტოლვილების რიცხვი. სირიიდან დევნილების რაოდენობა, გერმანული წყაროებით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში გაზრდილია. ამის მიზეზია სირიის რეჟიმის მეთაურ ბაშარ ასადის მიერ დაწყებული ბრძოლები.

გერმანელი ექსპერტების შეფასებით, ეს ადასტურებს, რომ რუსეთს თურქეთთან და ირანთან ერთად არ შეუძლია მშვიდობის დამყარება სირიაში.

სირიის საკითხზე აუცილებელია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება. ვინ მიიღებს მონაწილეობას მოსკოვის ეგიდით 30 იანვარს დაგეგმილ მოლაპარაკებებში, ჯერჯერობით უცნობია.

ბოლო დროს სირიაში მყიფე მშვიდობა სხვა მხრივაც დაირღვა. რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ იცის, ვისი პროვოცირებულია თავდასხმები სირიაში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ობიექტებზე. ერთი მათგანი უპილოტო თვითნაკეთი თვითმფრინავებით განხორციელდა.

გერმანელი ანალიტიკოსების აზრით, რუსებს ამგვარი ტექნოლოგიები სირიაში არ უნდა გაჰკვირვებოდათ. დრონებს იყენებდა „ისლამური სახელმწიფო“ . ასეთი ტექნოლოგიების გამოჩენა მოსალოდნელი იყო სხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებში, მაგალითად, ორგანიზაცია „ახრარ აშ შამში“, რომელსაც ბრალდება იერიში რუსეთის ბაზებზე.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასავლეთის ლიდერები რუსეთს ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ ის თვალს



ხუჭავს ასადის მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის გამოყენებაზე.

რამდენიმე დღის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ დამასკოს მხრიდან ქიმიური იარაღის გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები არ არსებობს. მისივე მტკიცებით, სირიაში ასადის მოწინააღმდეგე მებრძოლებს აქვთ წვდომა სრულყოფილი მომწამვლელი ნივთიერებების სინთეზზე. ლავროვი აღნიშნავს, რომ „ბოევიკები“ არა მარტო იყენებენ ტოქსიკურ ქიმიკატებს, არამედ ფლობენ საკუთარ ტექნოლოგიასა და შესაძლებლობებს საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებების შესაქმნელად. ეს იმას ნიშნავს, რომ ახლო აღმოსავლეთში ქიმიური ტერორიზმის საფრთხე არსებობს.

# „სომხეთმა ზემო ლარსის ალტერნატივა უნდა დაივიწყოს“

აზერბაიჯანული გამოცემის „კასპიის“ მიერ გამოქვეყნებული სტატია ეხება საქართველოს მთავრობასა და შვეიცარიულ კომპანიას შორის დადებულ შეთანხმებას, რომელიც 2011 წლის მოსკოვს-თბილისის ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გავლით ტვირთების შემოწმებას ითვალისწინებს.

გთავაზობთ გოშგარ ალიევის ავტორობით გამოქვეყნებული მასალის რეზიუმეს:

ტვირთების მონიტორინგის თაობაზე საქართველოს მიერ შვეიცარიულ კომპანიასთან შეთანხმების გაფორმება არ ნიშნავს იმას, რომ სომხეთისთვის უკვე გაჩნდა ზემო ლარსის ალტერნატივა. თბილისსა და ერევანში სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ, რომელთა თანახმად, სომხეთს კიდევ დიდი ხნის ლოდინი მოუწევს. საქართველოში თვლიან, რომ თუ აღნიშნული შეთანხმება ამოქმედდება, საფრთხის შემცველი იქნება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხში. ამასთან, საჭირო გახდება ცვლილებების შეტანაც კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“. თავის მხრივ, რადგან საქართველო არ თანხმდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, რუსეთი იძულებული გახდება, მათზე ზეწოლა განახორციელოს და კომპრომისს მიაღწიოს.

საინტერესოა, რომ გასული წლის ბოლოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად (სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის თბილისში ვიზიტის დროს), გიორგი კვირიკაშვილ-




მა არ გამორიცხა ფორსმაჟორულ სიტუაციებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე გამავალი გზების ამოქმედება, რაც აზერბაიჯანში ზურგში დანის ჩარტყმად იქნა აღქმული.

გასაგებია, რომ აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთზე გამავალი ახალი მარშრუტების (სავაჭრო დერეფნების) ამოქმედებით სომხეთისათვის მომგებიანი სიტუაცია იქმნება. გარდა ამისა, ერევანი ითხოვს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზით სომხური ტვირთების გადატანას. ბუნებრივია, აზერბაიჯანი არანაირად არ დაუშვებს სომხეთისათვის პოზიტიური და ხელსაყრელი სიტუაციის შექმნას.

სხვათა შორის, ბევრი არც საქართველოში არ აღფრთოვანებულა პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რომელმაც ქართულ პრესაში საკითხის აქტიური განხილვა გამოიწვია. ხშირად ისმის აზრი, რომ „ზემო ლარსის“ ალტერნატიული გზის გახსნა საქართველოსთვის წამგებიანი იქნება და რომ სომხეთს მაინცდამაინც დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს. საქართველოს მიერ შვეიცარიულ კომპანიასთან დადებული კონტრაქტის წინააღმდეგ გამოდის ოპოზიციური პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც.

ამრიგად, საქართველო უნდა გაარკვიოს და გადაწყვიტოს, ვისთან სურს დარჩენა – აზერბაიჯანთან და თურქეთთან, რომლებიც თბილისს მეგობრობის ხელს უწვდიან, მძიმე წუთებში ეხმარებიან, მასთან თანამშრომლობენ თუ უმადურ სომხეთთან, რომელსაც პრეტენზიები აქვს და ქართულ მიწებზე თვალი უჭირავს? იმ სომხეთთან, რომელიც ყოველ წუთში მზადაა, გაყიდოს თავისი მეზობელი, როგორც ეს არაერთხელ გაუკეთებია?

# სიღარიბე და საშემოსავლო უთანასწორობა მთავარი ეროვნული საკითხებია

ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული მოსახლეობის განწყობის კვლევის მიხედვით, სამუშაო ადგილები, ფასების ზრდა და სიღარიბე ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხებია საზოგადოებისათვის. კვლევა 2,298 დასრულებულ ინტერვიუს მოიცავს მთელი საქართველოს მასშტაბით. კითხვაზე, თუ რომელი ეროვნული საკითხებია გამოკითხულთათვის და მათი ოჯახებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, კვლევის რესპონდენტთა უმეტესობამ 54%-მა, უპასუხა, რომ ეს სამუშაო ადგილებია. 35%-მა ფასების ზრდა და ინფლაცია დაასახელა, 30%-მა კი – სიღარიბე. ამ პასუხებს 25%-ით მოჰყვება პენსიები, ხოლო 23%-ით – ხელმისაწვდომი ჯანდაცვა. მხოლოდ ამის შემდგომ მოდის ტერიტორიული მთლიანობა, 23%-ით.




აღსანიშნავია, რომ ამავე კვლევის წინა შედეგებშიც, მოსახლეობისათვის მთავარი საკითხები სწორედ სოციალური საკითხებია, თუმცა მედიისა და პოლიტიკური დღის წესრიგისათვის, აღნიშნული თემები, კვლავ არ წარმოადგენს მთავარ თემებს და საინფორმაციო არხები სულ სხვა „ეროვნული პრობლემებითაა“ მანიპულირებული, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ისევ მხოლოდ რეალური ვითარების გადაფარვას თუ ემსახურება.

მოყვანილი მონაცემები კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზეც, რომ საქართველოში სოციალური მდგომარეობა არ იცვლება, მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობს გადანაწილებისა და ეფექტური სოციალური პოლიტიკის საყოველთაო, ძლიერი მექანიზმები, უკვე არსებული მექანიზმები კი, მაგალითად, როგორიცაა საყოველთაო ჯანდაცვის სისტემა, სისტემატიური დასუსტების პროცესშია ქვეყნის მიერ არჩეული ეკონომიკური პოლიტიკის გამო, რომელიც არ არის შინაარსობრივად და პრაქტიკულად ორიენტირებული სოციალურ კეთილდღეობაზე.

კვლევაში ასევე გვხვდება მონაცემები დანახარჯებისა და შემოსავლების შესახებ, რომელიც კატასტროფულ ვითარებაზე მიგვითითებს საშემოსავლო უთანასწორობისა და დამაკმაყოფილებელი ცხოვრების დონის არარსებობის კუთხით: გამოკითხულთა უმეტესობისათვის – 21%-სათვის, მთლიანად, ოჯახის შემოსავალი, გასულ თვეს 301-დან 500 ლარამდე შეადგენს, ასეთივეა მთლიანად ოჯახის დანახარჯიც – გამოკითხულთა უმრავლესობისათვის, 22%-სათვის. მეორე ადგილზე კი, 17%-ით, 181 ლარიდან - 300 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებია. საკმაოდ მაღალია 181 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახთა რაოდენობაც – გამოკითხულთა 11%; რაც შეეხება 1.201-1.600 ლარამდე შემოსავალს, ის გამოკითხულთა მხოლოდ 4%-ს აქვს.

საინტერესოა ის სხვაობაც, რომელიც პირველი ორი ჯგუფის შემოსავლებსა და დანახარჯებს შორისაა – დანახარჯები 1%-ით უსწრებს შემოსავლებს, რაც სესხებითა და კრედიტებით აიხსნება.

შეგახსენებთ, რომ სიღარიბის ოფიციალურად დადგენილი ზღვრის მიხედვით გამოანგარიშებული უკანასკნელი მონაცემებით, სიღარიბის დონე ქვეყანაში 23%-ია, რაც მოსახლეობის თითქმის ერთ მეხუთედს შეადგენს.

# ძველ იპოდრომთან ესტაკადის მოწყობაზე ტენდერი გამოცხადდა

თბილისის მერიამ ძველ იპოდრომთან, ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების კვეთაზე, ესტაკადის მოწყობაზე ტენდერი გამოაცხადა. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, სამუშაოს სავარაუდო ღირებულება 2,9 მილიონი ლარია და ცინცაძე-კარტოზიას ქუჩების გადაკვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობას გულისხმობს. შედეგად, ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) ქუჩიდან თამარაშვილის მიმართულებით გადაადგილება ესტაკადით იქნება შესაძლებელი. შეფერხების გარეშე განხორციელდება მოძრაობა ყაზბეგის გამზირიდან ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის (საბურთალოს ახალი გზა) მიმართულებით.



ამასთან, საპროექტო დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ არსებული სატრანსპორტო კვანძი ვერ უზრუნველყოფს სატრანსპორტო ნაკადების გატარებას, ხშირად არის საცობები, ავტოსაგზაო შემთხვევები და პიკის საათებში მოძრაობა თითქმის პარალიზებულია.

ტენდერში მონაწილეთა განაცხადების მიღება 3 თებერვალს დაიწყება და 8 თებერვალს დასრულდება. სამუშაო წერილობითი დავალების მიცემიდან 150-დღიან ვადაში უნდა შესრულდეს.

პროექტის განხორციელება 2016 წელს იგეგმებოდა, თუმცა შედეგ გაჩერდა. მოგვიანებით შეჩერების ერთ-ერთ მიზეზად კერძო მესაკუთრის ინტერესი დასახელდა. თუმცა, როგორც 2017 წლის ზაფხულში თბილისის მაშინდელმა მერმა დავით ნარმანიამ განაცხადა, ცინცაძე-კარტოზიას დამაკავშირებელი ესტაკადის პროექტის შეჩერების ერთადერთი მიზეზი 87 ხე-მცენარის შენარჩუნება იყო. მერი აცხადებდა, რომ სამუშაოების დაწყებამდე დაგეგმილი იყო ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების მოჭრაც და გადარგვაც, თუმცა სპეციალისტების აზრით, გადარგვის შედეგად, დიდი ალბათობით, მცენარეების უმრავლესობა გახმებოდა.

# ამირან გამყრელიძე: „ძალიან გთხოვთ, ნუ აიცრუებთ გულს ვაქცინაციაზე“



დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი ამირან გამყრელიძე მოსახლეობას მოუწოდებს, რომ ვაქცინაციაზე გული არ აიცრუოს.

როგორც გამყრელიძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა, ცოფის ვაქცინასთან დაკავშირებით აუდიტის სამსახურის განცხადება სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

– მოგახსენებთ, რომ ეს განცხადება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ამიტომ დაუშვებელია, ვინმემ იფიქროს, რომ ცოფის საწინააღმდეგო ან სხვა ვაქცინები რომლებიც ქვეყანაშია, ხარისხთან ცუდ დამოკიდებულებაშია. ძალიან გთხოვთ, ნუ აიცრუებთ გულს ამაზე. დღეს ვინმემ დაკბენის შემდეგ თავისი ახლობელი რომ არ მიიყვანოს, ან თავად არ მივიდეს და არ აიცრას, ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა – შეიძლება ამ ადამიანში მერე განვითარდეს ცოფი, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, კაცობრიობას ვაქცინაციაზე უკეთესი საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ინტერვენცია არ მოუგონია.

– კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჯერჯერობით კაცობრიობას ვაქცინაციაზე უკეთესი საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ინტერვენცია არ მოუგონია. ბავშვების სიკვდილიანობა ყველგან მცირდება, მთელ მსოფლიოში, მაგალითად, 90-იან წლებში, ყოველწლიურად იღუპებოდა 5 წლამდე 12-14 მილიონი ბავშვი, დღეს დაახლოებით 5 მილიონამდეა ეს სიკვდილიანობა ჩამოსული. ეს ყველაფერი ძირითადად ვაქცინაციის დამსახურებაა. დღეს ვაქცინაციის საშუალებით ყოველწლიურად 2-დან 3 მილიონამდე ბავშვის სიკვდილის პრევენცია ხდება იმ დაავადებებისგან, რომლებიც ემორჩილებიან ვაქცინებით მართვას. საქართველოს ვაქცინაციის კალენდარი დღეს იგივეა, რაც ევროკავშირის ქვეყნების კალენდარი. ჩვენ დღეს ვცრით 12 ინფექციის საწინააღმდეგოდ ბავშვებს, – განაცხადა გამყრელიძემ.

# ირაკლი კოვზანაძე: „ბურთი დღეს ეროვნული ბანკის მოედანზეა“



კომერციული ბანკებისგან ე.წ. საბანკო ჰოლდინგების გამიჯვნა საკანონმდებლო დონეზე მოხდა. საქართველოს ეროვნულ ბანკს მიეცა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა დაეკისრება, ზედამხედველობა განახორციელოს არა მხოლოდ ცალკე აღებულ საბანკო დაწესებულებაზე, არამედ მთლიანად იმ „ჰოლდინგსა“ თუ ფინანსურ ჯგუფზე, რომელთანაც დაკავშირებულია, აფილირებულია ესა თუ ის კომერციული ბანკი, – თემის დეტალებით „საქმიან დილასთან“ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ ისაუბრა.

***– ბატონო ირაკლი, ექვსთვიანი მუშაობის შემდეგ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე რა ეფექტს ელოდება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი?***

– ეს დიდი ხნის მუშაობის რეზულტატია, ჩვენ საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერას ველოდებოდით. როგორც კი ხელი მოაწერა პრეზიდენტმა, მეორე დღესვე გავაკეთე განცხადება. აღნიშნული კანონი ექვსი თვე მუშავდებოდა ჩვენს კომიტეტში და მას წინ მთელი რიგი ღონისძიებები უძღოდა. ჩვენ პროცესის – საფინანსო სექტორზე ზედამხედველობის გაძლიერების – დასრულება გვინდოდა, რომელიც კარგა ხანია მიმდინარეობს, რადგან ბიზნესისა და მოსახლეობის მხრიდან არაპროფილური აქტივების ფლობასთან, გარკვეულ სესხებთან და ფინანსებზე წვდომასთან დაკავშირებით, ყოველთვის ისმოდა პრეტენზიები.

***– ბიზნესმენ ლაშა პაპაშვილის განმარტებით, ბანკები ისე გაიზარდნენ, რომ მთელ ბაზარს ითვისებენ და სხვა ბიზნესებს განვითარების საშუალებას არ აძლევენ.***

– ბატონი ლაშა აღნიშნულ სფეროში გამოცდილი ადამიანი, ბიზნესასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია და, ვფიქრობ, რომ იგი თავის მოსაზრებებს ჩამოაყალიბებს და გავეცნობი რა სახის არის მისი წინადადება, მაგრამ ამ ეტაპზე აქ ამაზე არ იყო საუბარი და ვფიქრობ, რომ გარკვეული კვეთაც იქნება, თუმცა მე ჯერ გარკვეულწილად ჩამოყალიბებული მისი წინადადება არ მინახავს. აქ საუბარი იყო დაგროვილ პრობლემებზე, რომელიც ამ სექტორში არსებობს. 5-6 თვის განმავლობაში აქტიურად ვიმუშავეთ და გვსურდა, ორი მიმართულება მოგვეცვა. ერთი – არაპროფილური აქტივების ფლობათა ზედამხედველობა და მეორე – საფინანსო სექტორის არასაბანკო ნაწილზე ზედამხედველობა. ასევე ზოგიერთი ბიზნესმენი აღნიშნავდა, რომ ბანკმა სესხი არ მისცა, მაგრამ მათი ბიზნესწინადადება მიითვისა და განავითარა. ჩვენ აღნიშნულ სამ მიმართულებაზე მთავრობასთან და ეროვნულ ბანკთან ერთად ვიმუშავეთ. მე აღვნიშნე კიდეც, რომ კანონპროექტის დასრულება სკრუპულოზური მუშაობის შედეგი იყო.

***– აღნიშნულ სამ მიმართულებაზე ამ ეტაპზე ყველაფერი მოიცავით?***

– იდეალური არაფერი არ არის, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ამ მიმართულებით ეროვნულ ბანკს 2015 წელს, წინა ხელმძღვანელობის დროს გარკვეული განკარგულება ჰქონდა გამოცემული, რომელიც არაპროფილური აქტივების გამიჯვნას ითვალისწინებდა ბანკისგან. ეს მართლაც მოხდა, მაგრამ რეალურად ამ მიმართულებამ არ იმუშავა, რადგან თითქოს ბანკებისგან არაპროფილური აქტივები გაემიჯნა, მაგრამ ბანკებიც და არაპროფილური აქტივებიც ერთი ჰოლდინგის ქვეშ მოექცა. ჩვენმა კანონპროექტმა ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა, რომ ჰოლდინგში შემავალ ნებისმიერ სუბიექტზე ნებისმიერი ინფორმაცია მიიღოს და ზედამხედველობა განახორციელოს. ეს შესაძლოა სამედიცინო თუ სადაზღვევო ობიექტი იყოს, ასევე სასწავლებელი, სამშენებლო კომპანია და ა.შ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და პარლამენტმა ამ მიმართულებით ნაბიჯი გადადგა. ამ თვალსაზრისით, ეროვნულ ბანკს ფუნქციები გაუუმჯობესდა და ზედამხედველობის ყველა ბერკეტი მიეცა. ამ მიმართულებით ჩემთან უამრავი წერილი შემოდიოდა. აღნიშნული მიმართულება მთავრობის ინიციატივა იყო, რომლითაც ეროვნული ბანკიც დაინტერესებული იყო და ჩვენ ერთად ვიმუშავეთ ამ პროექტზე.

***– როგორ ფიქრობთ, დღეს ეროვნულ ბანკს აღნიშნული კანონის სრული ლეგიტიმაციის შემდეგ სრული კარტბლანში აქვს?***

– ბურთი დღეს ეროვნული ბანკის მოედანზეა. რაც პარლამენტის ძალასა და ფუნქციებში იყო, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ. სებმა პირველი კვარტლის განმავლობაში ყველანაირი პროცედურა უნდა გაიაროს, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აქტივები ექნება გამოსაცემი და ვფიქრობ, ისინი ამას გააკეთებენ.

***– აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით კომერციულ სექტორთან თუ გქონდათ კონსულტაციები?***

– რა თქმა უნდა, ეს სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა. აქ საბანკო ასოციაციასთან ერთად, ყველა იყო ჩართული, ვინც ამ სექტორთან შეხებაშია. მეორე მიმართულება, რაზეც ზედამხედველობის გაძლიერება დავავალეთ ეროვნულ ბანკს და პასუხისმგებლობა მან აიღო, ეს არის მიკროსაფინანსო სექტორი და საფინანსო სექტორის არასაბანკო ნაწილი, ანუ ყველა ის სუბიექტი, რომელიც მოსახლეობისგან ფულადი რესურსების მოზიდვას იყენებს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან დაკავშირებით სებს მანამდეც ჰქონდა ინფორმაცია, ახლა მას უკვე ვალდებულება აქვს მიკროსაფინანსოებს თითქმის იგივე ტიპის ზედამხედველობა გაუწიოს, როგორც კომერციულ ბანკებს. ჩვენ გარკვეული ინფორმაციები გვქონდა, რომ პრობლემები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებშიც არის. ამ თვალსაზრისით მიკროსაფინანსოებზე ზედამხედველობა მკაცრდება. მეორე სექტორი, რომელზეც ზედამხედველობა დაეკისრა ეროვნულ ბანკს და მანამდე არასდროს განუხორციელებია, არის მაგალითად, საფინანსო კომპანია „საქართველო“, სადაც ეს პრობლემა დადგა ამ მოქალაქეებს მოვლა სჭირდება. თუ დავაკვირდებით, ეროვნული ბანკი განცხადებებს სისტემატურად აკეთებს, საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებს, რომ ამ ტიპის ორგანიზაციებთან ურთიერთობას გაუფრთხილდნენ. სებს აქამდე ბერკეტი არ ჰქონდა. ეროვნულ ბანკს უკვე შეუძლია ასეთი ტიპის ორგანიზაციებს პასუხი მოსთხოვოს, ზედამხედველობა განახორციელოს, ფუნქციები შეუზღუდოს და ა.შ.

***– სებმა სავალუტო ჯიხურების მუშაობის შესწავლა გააძლიერა. ეს აღნიშნული კანონის ნაწილია?***

– სავალუტო ჯიხურებზე ასეთი ტიპის ზედამხედველობა არ ხორციელდება, თუმცა აქ ეროვნულ ბანკს აქამდე ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული საკითხები ჰქონდა, ახლა კი დახურვასთან, ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებული და სხვადასხვა ტიპის ზედამხედველობის თემებია, მას აქაც გაუფართოვდა წრე.

# საქართველოს გავლით ჩინეთიდან ევროპაში ტვირთი გაიგზავნა



ტრანსკასპიური დერეფნის გავლით ჩინეთიდან ევროპაში საკონტეინერო მატარებელი გაიგზავნა.

ჩინური მედიის ცნობით, საინჟინრო მოწყობილობებითა და სხვა საქონლით დატვირთული პირველი საკონტეინერო მატარებელი ურუმჩიდან გამოვიდა და ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ევროპაში ჩავა. მატარებელი სულ 1486 კმ გაივლის და 8 დღეში დანიშნულების ადგილს მიაღწევს.

მედია აღნიშნავს, რომ 2018 წელს ურუმჩიდან ევროპაში 1400 მატარებლის გაშვებაა დაგეგმილი, სულ ჩინეთიდან ევროპაში კი – 4000 მატარებლის. მათი ნაწილი ტრანსკასპიურ დერეფანს გაივლის.

# ნატურალური ტყავის ბრენდი „აბგა“ – „ხალხს მოსწონს, რომ ქართული ნაწარმი იქმნება“



ნატურალური ტყავის ჩანთების ბრენდი „აბგა“ 29 წლის მარკეტოლოგმა თეა გოროზიამ დააფუძნა. სტარტაპი სამი თვეა, რაც დაფუძნდა, თუმცა ბაზარზე ერთი თვის წინ გამოჩნდა. „აბგა“ ჩანთების გარდა ნატურალური ტყავის აქსესუარებს აწარმოებს.

– ტყავი, რომლითაც ჩვენი ჩანთები მზადდება, მხოლოდ „აბგასთვისაა“ შექმნილი, – განაცხადა თეა გოროზიამ. ბრენდი ამ ეტაპზე „სითი მოლშია“ გახსნილი.

კომპანიის დამფუძნებელი ბაზარზე არსებულ კონკურენციაზეც საუბრობს და განმარტავს, რომ „ძალიან ბევრი ჩანთების მწარმოებელი სტარტაპი უკვე შექმნილ ბიზნესს ბაძავს. როდესაც ბრენდს ვქმნიდი, პირველ რიგში ამას გავექეცი.

თუ ბიზნესს აკეთებ, უნდა შექმნა ისეთი პროდუქცია, რომელიც მხოლოდ შენი იქნება. ბრენდის ნიშამ სხვებისგან უნდა გამოგარჩიოს. ტყავის დამზადებისას ძალიან ბევრი წვრილმანია გასათვალისწინებელი“, – განაცხადა გოროზიამ.

რაც შეეხება კომპანიის საფასო პოლიტიკას, ჩანთის ფასი 50 ლარიდან 320-ლარამდე მერყეობს, ხოლო ტყავის აქსესუარების ფასი 25 ლარიდან 60 ლარამდე.

თეა გოროზია ქვეყანაში სტარტაპების განვითარების შესახებაც საუბრობს.

– ჩანთებმა ძალიან დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებაში. ხალხს მოსწონს, რომ ქართული ნაწარმი იქმნება. ხალხი დროთა განმავლობაში უნდა მიეჩვიოს იმას, რომ საქართველოშიც შესაძლებელია ხარისხიანი პროდუქციის შექმნა.

დამწყები ბიზნესისთვის რთულია ორი თვის წინასწარი შენატანის გაკეთება და ამ კუთხით ხელშეწყობაა საჭირო. არ აქვს მნიშვნელობა სტარტაპია თუ მსხვილი ბიზნესი, იჯარას ყველა ერთნაირად იხდის.

ჩვენ საკუთარი საწარმო და მაღაზია გვაქვს და გარკვეული თანხები მის განსავითარებლადაც გვჭირდება, – განმარტა „აბგას“ დამფუძნებელმა.

კითხვაზე, თუ როგორ უნდა შეუწყოს სახელმწიფომ ქართულის პოპულარიზაციას ხელი, თეა გოროზია გვპასუხობს: „სტარტაპებისთვის გარკვეული სახის სივრცე უნდა არსებობდეს, რომ ჩვენი ნაწარმის გატანა შეგვეძლოს, სადაც საკუთარი თავის წარმოჩენას შევძლებთ.

ასევე გარკვეული სახის შეღავათებია საჭირო, რათა სტარტაპს ხარჯები ერთიანად არ დააწვეს. სახელმწიფომ წარმოებას ხელი უნდა შეუწყოს, რადგან ეს ყველაფერთან ერთად მეტ სამუშაო ადგილს გულისხმობს“.

# პორტებიდან დაკარგული ტვირთის ფასი



საქართველო, რომელსაც რეგიონში ენერგეტიკული და სატრანზიტო ჰაბის ამბიცია გააჩნია, ბოლო რამდენიმე წელია კარგავს იმ ტვირთებს, რომლებსაც ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. საქართველოს რკინიგზაზე და პორტებში, ტვირთბრუნვა ბოლო ხუთი წელია მცირდება. ქვეყნის სატრანზიტო დერეფანი უკვე არაკონკურენტულია, ის სტრატეგიულ და რეგიონალურ ფუნქციას კარგავს, მთავრობა კი ახალი, ანაკლიის პორტის მშენებლობას იწყებს.

– ტვირთნაკადები ნებისმიერ ქვეყანაში ან მცირდება, ან იზრდება, რაც დამოკიდებულია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკის ზრდის ტემპებზე. მაგრამ, საქართველოს შემთხვევაში სატრანსპორტო ტვირთნაკადები ბოლო 5 წელია მცირდება და ეს ერთგვარ სტაგნაციად იქცა, – ამბობს სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა ცაგარეიშვილი: – „2012 წელთან შედარებით 2016 წელს მხოლოდ ტრანზიტი 49 პროცენტით შემცირდა, ხოლო ტვირთბრუნვა მთლიანად – 40 პროცენტით“.

ცენტრის კვლევებით, საქართველოს რკინიგზაში 40-პროცენტიანი კლებაა, აზერბაიჯანში – 25, ცენტრალური აზიის ქვეყნებში – 5-7 პროცენტი; ბალტიისპირეთის ქვეყნებმა კი, რომელთა სატრანსპორტო სისტემა მთლიანად რუსეთზეა მიბმული (რუსეთს აქვს შესაძლებლობა ტვირთები საკუთარ პორტებში მიიზიდოს), მიმდინარე წელს შეძლეს 4 პროცენტით გაეზარდათ ტვირთბრუნვა; ირანის რკინიგზამ კი 37-პროცენტიანი ზრდა აჩვენა.

– ირანმა კასპიის მთელი ნავთობნაკადი თავისკენ გადართო და ეს მაშინ, როცა ბათუმის ნავსადგურისთვის ყველაზე სასიცოცხლო ტვირთი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. ჩვენ ამოვარდით ამ ნავთობის გადაზიდვის სისტემიდან, – ამბობს ცაგარეიშვილი.

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრში აცხადებენ, რომ როცა ნავთობზე ფასმა დაიწია, საქართველოში სატრანსპორტო უწყებებმა ვერ მოახერხეს ნავთობპროდუქტების მოსაზიდად ბაზარზე ტარიფების მისადაგება: „როცა ბარელი ნავთობი 125 დოლარიდან, პირობითად, 45-50 დოლარის ნიშნულზე ჩამოვიდა, გადაზიდვისა და გადამუშავების ტარიფები ჩვენს სატრანსპორტო დერეფანში იგივე დარჩა: ნავსადგურში 7 დოლარი ტონა ტვირთზე და რკინიგზაზე – 10,6 დოლარი. ამიტომ ექსპორტიორს ცენტრალური აზიიდან გაუძვირდა ხარჯთაღრიცხვაში სატრანსპორტო მდგენელის ოდენობა. შესაბამისად, მან დაიწყო ნავთობის გადამისამართება სხვადასხვა მილსადენში“.

ტვირთბრუნვის შემცირებას საქართველოში არსებულ ტარიფებს უკავშირებს ექსპერტი ალექსანდრე თვალჭრელიძეც:

– თუ გვინდა, აბრეშუმის გზა განვაახლოთ, მაშინ ჩვენი სატარიფო პოლიტიკა უნდა იყოს ისეთი, რომ საქართველოს გავლით ტვირთის გადატანა უფრო მომგებიანი იყოს, ვიდრე ირანის, თურქეთისა თუ რუსეთის გავლით. ამიტომ სტრატეგიულად არის შესამუშავებელი კონცეფცია. ჩვენი რკინიგზა ძალიან ძვირია.

საქართველოს რკინიგზის მფლობელი სახელმწიფოა. კითხვაზე, რატომ ვერ ხერხდება მოქნილი სატარიფო პოლიტიკის გატარება? – ალექსანდრე თვალჭრელიძე პასუხობს: „რკინიგზა სახელმწიფოა, მაგრამ ეს არის ცალკე იურიდიული პირი, რომელიც მოგებაზე მუშაობს და თვლის, რომ ესაა მთავარი. რკინიგზა მსოფლიოში ყველგან დოტაციურია. ჩვენთან ყველაფერი სხვანაირადაა, არ იდება ნორმალური ინვესტიციები. გზების რეაბილიტაციაში თითქოს რაღაც კეთდება, მაგრამ 380 კმ 3 საათში უნდა გაიარო და არა 5-ში“.

ბრიტანული საზღვაო საკონსულტაციო კომპანია WSP-ის დირექტორი როი ვან ეიედენი „ბათუმელებთან“ ამბობს, რომ საქართველოში ტვირთბრუნვის შემცირების რამდენიმე მიზეზი არსებობს, რომელთაგან უმთავრესია დსთ-ს ქვეყნებიდან ტრანზიტული ტვირთების გადამისამართება ირანის მიმართულებით: „ამას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, ვინაიდან ტრანსპორტირების დრო და ფასი ირანის გავლით არის მოკლე და იაფი. ტვირთი კი, საერთო ჯამში, ყოველთვის პოულობს ეფექტურ და ხელმისაწვდომ მარშრუტს“.

ცენტრალური აზიის ტვირთებისთვის ირანზე გამავალი სატრანზიტო დერეფანი 2016 წლის იანვრიდან გაიხსნა, როცა ირანს 2006 წელს დაწესებული საერთაშორისო სანქციები მოეხსნა. ირანი თავადაც არის ნავთობის ექსპორტიორი. ამას მოჰყვა ნავთობზე ფასების დაცემა, რასაც ხელი შეუწყო აშშ-ში მოპოვებული ნავთობის ექსპორტის აკრძალვის გაუქმებამაც 2015 წელს (აშშ-ში, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია, 1973 წლიდან ნავთობის ექსპორტი აკრძალული იყო).

ალექსანდრე თვალჭრელიძის თქმით, ვინაიდან ნავთობი ახლა იაფია, ცენტრალური აზიიდან საქართველოს პორტებში ტვირთის გადმოზიდვა ძალიან ძვირი ჯდება ჩვენს დერეფანში არსებული ტარიფების გამო: „იაფი ნავთობის პირობებში სხვანაირი პოლიტიკა უნდა იყოს გატარებული. მეჩვენება, რომ სტრატეგიაზე არ მუშაობს ხალხი. ხალხი მუშაობს იმ ოთხ წელიწადზე, რა ვადითაც არიან დანიშნულები, სხვა არაფერი აინტერესებთ“.

ექსპერტი „დიდ დანაშაულად“ აფასებს თავის დროზე ბათუმისა და ფოთის პორტების პრივატიზებას: „ეს იყო ქვეყნისთვის სტრატეგიული ობიექტები. რომელი პორტია კერძო? თუნდაც ამერიკული მსხვილი პორტები ყველა სახელმწიფოა. ჩვენი პორტების მმართველებს არ აინტერესებთ ქვეყნის სტრატეგია და მუშაობენ მხოლოდ მოგებაზე. ეს არის მოჯადოებული წრე – ტვირთი თუ მცირდება, ტარიფებს ზრდიან, ფიქრობენ დღევანდელ დღეზე და არა ხვალინდელზე“.

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრში აცხადებენ, რომ ნებისმიერ ტვირთს გააჩნია ალტერნატიული დერეფანი, ხოლო ტვირთებიდან ყველაზე მოცულობითი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. ამასთან, თურქმენეთისთვის, აზერბაიჯანისა და ყაზახეთისთვის საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფანი ნაკლებად კონკურენტუნარიანი და ნაკლებად მიმზიდველი გახდა. თურქმენეთის ნედლ ნავთობს თუ ავიღებთ – 31%-ით ნაკლებკონკურენტულია საქართველოს დერეფანი, ყაზახეთის შემთხვევაში – 17%-ით, აზერბაიჯანისთვის კიდევ უფრო არაკონკურენტუნარიანია – 52%-ით, ვინაიდან ნავთობს პირდაპირ რუსეთის პორტ ნოვოროსიისკში აგზავნიან მილსადენით.

# გელა ნიკოლაიშვილი: „როდესაც სამართლიანობა ვერ ბატონობს, მოქალაქე თვითონ იწყებს ანგარიშსწორებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** პასუხობს.

***– ბატონო გელა, ოპონენტები ხელისუფლებას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარება უკიდურესად დამძიმდა. გახშირებულია მკვლელობები, ქურდობა-ყაჩაღობა. გვესმის შეფასებები, რომ ქვეყანაში ქურდული მენტალიტეტი ბრუნდება. ასეა? იმატა ქვეყანაში კრიმინალმა?***

– როდესაც ამბობენ, რომ ქვეყანაში ქურდული სამყაროს გაძლიერება და ხელშეწყობა ხდება, ეს ნამდვილად ასე არ არის, იმიტომ რომ დღეს საქართველოში არცერთი კანონიერი ქურდი არ ცხოვრობს. არის რამდენიმე კანონიერი ქურდი, რომლებიც იმყოფებიან ციხეში. დანარჩენი ყველა არის საზღვარგარეთ. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით არაფერი არ არის შეცვლილი.

***– ზოგადად კრიმინოგენურ სიტუაციაზე რას იტყვით?***

– რაც შეეხება ზოგადად კრიმინოგენური სიტუაციის შეცვლასა და უარესობისკენ წასვლას, აქ შეიძლება ერთი რაღაცის თქმა, რომ შედარებით ლიბერალურმა ცვლილებებმა, რომლებიც ამ ხელისუფლებამ გაატარა როგორც კანონმდებლობის, ასევე მიდგომების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, კრიმინალურ სამყაროს გარკვეული თავისუფლების განცდა შემატა.

***– რა თვალსაზრისით?***

– იმ კუთხით, რომ დღეს ციხეში მოხვედრა არ ნიშნავს ცხოვრების დასრულებას, ანუ სიცოცხლისათვის რისკს არ შეიცავს, როგორც ეს იყო სააკაშვილის მმართველობის დროს ან თუნდაც 30-იან წლებში, როდესაც ყველას აპატიმრებდნენ.

***– შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეებს ციხე აღარ აშინებთ?***

– დიახ, შეიძლება ასე ითქვას. ვერ ვიტყვი, რომ ციხეში ზედმეტად კომფორტულია ცხოვრება და კურორტულ მდგომარეობას მოგაგონებს, მაგრამ ადამიანური პირობები ციხეში დაცულია. ეს არის როგორც დემოკრატიული მსოფლიოს, ისე ჩვენი ხელისუფლების მიღწევა, ასეთი ადამიანური პირობების შექმნა. ამან რატომღაც გამოიწვია იმის განცდა, რომ რა მოხდა, ციხეში შევალ, მალე გამოვალ, თან მით უმეტეს დღეს სტანდარტი იმისა, რომ კრიმინალური დანაშაული დაუმტკიცონ ამა თუ იმ პიროვნებას, არის აწეული.

***– სტანდარტის აწევაში რას გულისხმობთ?***

– დღეს არ არის ადვილი დანაშაულის დამტკიცება. ჩვენ გამოვიარეთ ის პერიოდი, როცა ხელოვნურად იქმნებოდა მტკიცებულებები და ნებისმიერი პირი იყო მზად იმისთვის, რომ ან თავისი თავისთვის, ან სხვისთვის დაებრალებინა რამე დანაშაული იმის შიშით, რომ ის მართლაც განადგურდებოდა ციხეში. ამის მაგალითი ბევრი იყო, გაუპატიურებები და მკვლელობები, წამებები და კიდევ ათასი უბედურება. დღეს ეს აღარ არის. აქედან გამომდინარე, დანაშაულის გახსნაც ამ თვალსაზრისით, როცა დამნაშავეს ვერ იჭერდნენ და სხვას იჭერდნენ ან სხვა იბრალებდა, ხოლო სასამართლო ამას ბეჭედს არტყამდა თვალდახუჭული, დღეს ეს მდგომარეობა არ არის. ამან სიტუაცია შეცვალა და კრიმინოგენური ვითარება შესაძლოა უფრო თვალშისაცემი გახდა, რომ რაღაცა გართულდა.

***– რეალურად ასე არ არის?***

– თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სადავეები ხელიდან არის გაშვებული და, არიქა, კრიმინალური სამყარო ბობოქრობს. უფრო მეტიც, დღეს დანაშაულის ძალიან დიდი პროცენტი იხსნება. დანაშაულის გახსნას ხელს უწყობს ტექნიკური პროგრესიც, იგივე ვიდეოთვალი ყოველ ნაბიჯზე, იგივე მობილური ტელეფონების დაფიქსირების საშუალება, თუ ამ დროს სად იმყოფებოდა ეჭვმიტანილი.

***– წილების გადანაწილების გამო დაიწყო მკვლელობები. ბევრს ქუთათელაძის მკვლელობის საქმე მოჰყავს მაგალითად. ამ კუთხით რა ხდება?***

– ესეც ძალიან სიმპტომატური და დამახასიათებელია და არც არის გასაკვირი.

***– რატომ არ არის გასაკვირი?***

– იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებამ სააკაშვილის დროს უკანონოდ და უსამართლოდ ჩამორთმეული წილების უკან დაბრუნება ვერ შეძლო, იმის საფრთხე არსებობდა, რომ დაიწყებოდა პირადი ანგარიშსწორება.

***– ანუ თავადვე ცდილობენ დაზარალებულები წართმეულის დაბრუნებას?***

– დიახ, თვითონ ცდილობენ წართმეულის დაბრუნებას, რადგან ეს სახელმწიფომ არ თუ ვერ შეძლო.



***– ქუთათელაძესთან დაკავშირებით რის თქმა შეგიძლიათ? შესაძლოა, აქაც წილების მოტივი გამოიკვეთოს?***

– გამორიცხული არაფერი არ არის, მით უმეტეს, მაგ ბაზართან დაკავშირებით. მე რამდენიმე თვის წინ მომმართა კიდევ ერთმა ადამიანმა და შემომჩივლა, იქნებ რამეში დამეხმარო, ამდენჯერ დავწერე განცხადება, დამკითხეს, მაგრამ არანაირი წინსვლა არ არისო და ისიც ასახელებდა იმდროინდელ მაღალჩინოსნებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მისთვის წილების წართმევაში. ეს პირი დღემდე ამაოდ ცდილობს კუთვნილის დაბრუნებას.

***– ამ შემთხვევაში თუ გაიჟღერა ქუთათელაძის გვარმა?***

– დიახ, გაიჟღერა ქუთათელაძის გვარმაც, ოღონდ პირადად ეს პირი და მისი წილები ქუთათელაძესთან არ იყო დაკავშირებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ უფრო ზოგადი ლაპარაკი გვქონდა და ამ კონტექსტში გაიჟღერა. ღმერთმა დაიფაროს, რომ ეს კაციც ასეთ სასოწარკვეთამდე მივიდეს და ასეთი ნაბიჯი გადადგას. თუმცა, არის კატეგორია, რომლებიც ველარ უძლებენ და შეიძლება გადადგან ასეთი ნაბიჯი. ქუთათელაძის შემთხვევა ამ წილებს უკავშირდებოდა თუ სხვა რამეს, აქ მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ, მაგრამ არ გამოვრიცხოთ არაფერი.

***– გამოდის, რომ ეს პროცესი ხელისუფლების ბრალია, რადგან მან არ აღადგინა სამართლიანობა?***

– ამ შემთხვევაში ასეა. როდესაც სამართლიანობა ვერ ბატონობს და ვერ იმარჯვებს, მოქალაქე იძულებულია, თვითონ დაიწყოს ანგარიშსწორება და სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლა. რა თქმა უნდა, ეს უკვე კრიმინალია, თუმცა ამის მიზეზთა მიზეზი არის ის, რომ სამართლიანობას, რომლის აღდგენაც ევალება ხელისუფლებას, ის ვერ უზრუნველყოფს.

***– რამდენად სახიფათოა ეს თემა და რამდენად გადამდები შეიძლება აღმოჩნდეს?***

– რა თქმა უნდა, სახიფათოა! უბრალოდ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს პროცესი მასობრივი არ ყოფილა და ათიათასობით ადამიანს არ ეხება, იმდენად ქვეყნის მასშტაბით შეიძლება სახიფათო არ იყოს, რომ ბაცილასავით გადაედოს ყველას. ამ შემთხვევაში შეიძლება რამდენიმე ასეულ ადამიანზე იყოს საუბარი, რომლებსაც ქონება წაართვეს. თუმცა თითოეული მომხდარი ფაქტი ამ ადამიანებისთვის ტრაგედია იქნება.

***– რატომ არ აქვს პროკურატურას დროული რეაგირება, როდესაც წართმეული ქონების დაბრუნების მიზნით მიმართავენ კონკრეტული პირები?***

– პროკურატურას, რა თქმა უნდა, დროული რეაგირება უნდა ჰქონდეს და, რაც მთავარია, ფორმალურად არ უნდა მოეკიდოს ამ ყველაფერს. თავის დროზე ისე აკეთებდნენ, რომ კვალი არ რჩებოდა, დღეს კი თავისი ნებით არავინ გამოვა და არ იტყვის, მე წავართვი ქონებაო. თუ კონკრეტული მტკიცებულება არ იქნა, ამ პირობებში ძნელია, ადვილი არ არის, თუმცა პროკურატურა არც ცდილობს და ფორმალურად ეკიდება მსგავს ფაქტებს.

ხშირად პროკურატურას არც უცდია, რომ გამოკვეთილიყო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. პროკურატურა დღეს თავიდან იცილებს ზედმეტ თავისტკივილს. როდესაც ეს დამოკიდებულება ჩანს, ეს არის ცუდი, თორემ არავინ ამბობს, რომ ეს ყველაფერი ადვილია და პროკურატურა მაშინვე შეძლებს, მოქალაქეებს წართმეული ქონება დაუბრუნოს. უბრალოდ, აქ პროკურატურის მცდელობასა და მონდომებაზეა საუბარი.

## საბა სამუშიამ რესტორანში ოთხი ადამიანი დაჭრა



საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, საბა სამუშიამ რესტორან „აღაში“ 4 ადამიანი დაჭრა. აქამდე ცნობილი იყო 3 ადამიანის დაჭრის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ბრალდებულ ს.ს-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 17 იანვარს, დაახლოებით 23 საათსა და 50 წუთზე, ქ. თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ რესტორან „აღაში“, ს.ს.-მ იქ მყოფ საზოგადოებას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მან დანის გამოყენებით რ.ბ.-ს მარჯვენა ფეხის მიდამოში მიაყენა ნაკვეთი ჭრილობები, რამაც კუნთის დაზიანება გამოიწვია და ჩაუტარდა ოპერაცია, დ.ქ.-ს დაარტყა დანა მარცხენა კოჭის არეში და მიაყენა ნაკვეთი ჭრილობა, მ.მ.-ს მარცხენა მუხლის უკანა ნაწილში მიაყენა ნაკვეთი ჭრილობა, ხოლო მ.ბ-ს, ასევე დანის გამოყენებით ფეხისა და წინამხრის არეში მიაყენა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.

ს.ს. სამართალდამცავებმა შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 118-ე მუხლის მესამე ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება ორი ან მეტი პირის მიმართ) და 239-ე მუხლის მესამე ნაწილით (ხულიგნობა, ჩადენილი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით) წარედგინა, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე.

ს.ს. წარსულში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით არის გასამართლებული, – ნათქვამია განცხადებაში.

## პირი, რომელიც გლდანში პოლიციელებს გაექცა, დაკავებულია

სამართალდამცველებმა ის პირი დააკავეს, რომელმაც 15 იანვარს გლდანში პოლიციის მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა და მიიმალა.




შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად შ.კ. თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა პოლიციელებზე თავდასხმისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით წარსულში ქურდობისთვის ნასამართლევი, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1991 წელს დაბადებული შ.კ. თბილისში დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე წლის 12 იანვარს გლდანში ხილ-ბოსტნეულის ერთ-ერთ მაღაზიაზე ცეცხლსასროლი იარაღით ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოში გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე დაიწყო. გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცველებმა დანაშაულში შესაძლო მონაწილე პირის იდენტიფიცირება შეძლეს.

– 15 იანვარს, შ.კ. არ დაემორჩილა პოლიციელების კანონიერ მოთხოვნას, მათი მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლა განახორციელა და მიიმალა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

გამოძიება ყაჩაღობის და პოლიციელზე თავდასხმას ფაქტზე მიმდინარეობს სისხლის სსკ-ს 179-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 353-ე (პრიმა) მუხლის 1-ლი ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით. დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – აცხადებენ შსს-ში.

## კლუბ „ბასიანის“ საქმის მოსამართლე უარყოფს, რომ მასზე ზეწოლა განხორციელდა



კლუბ „ბასიანის“ საქმის მოსამართლე ბადრი შონია უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ მასზე რაიმე სახის ზეწოლა განხორციელდა. შონია აცხადებს, რომ მან გადაწყვეტილება სრულიად დამოუკიდებლად მიიღო:

– მე შევაფასე, რომ ეს ადამიანი (თამაზ ქვლივიძე) აღიარებდა დანაშაულს, ინანიებდა და არ იყო ნასამართლევი. საზოგადოების განწყობა და სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის სამართლიანი.

მე ვერ გეტყვით, რა იგულისხმა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, თუმცა მას ჰქონდა უფლება, არ დათანხმებოდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას. რაიმე სახის ზეწოლაზე საუბარი საფუძველს მოკლებულია. უფრო მძიმე მუხლებზეც გამომიყენებია გირაო, მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი რიგითი საქმე იყო ჩემს პრაქტიკაში, – განაცხადა შონიამ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# დაიწყება თუ არა რუსეთ-უკრაინის დიდი ომი?!

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ნიუ იორკში ჩავიდა. პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ უკრაინის პარლამენტის მიერ რუსეთის ოკუპანტად და აგრესორად გამოცხადება მინსკის სამშვიდობო პროცესის ჩაშლას მოასწავებს.



ლავროვმა აღნიშნა, რომ ფართომასშტაბიანი ომის დაწყებას ერთი ნაბიჯი აშორებთ.

– მივმართავ ჩვენს დასავლელ პარტნიორებს: მოახდინეთ ზეწოლა უკრაინაზე! – განაცხადა ლავროვმა.

რუს სამხედრო ექსპერტ პაველ ფოლკენგაუერის აზრით, დღეს ფართომასშტაბიანი ომის დაწყების საფრთხე რეალურია. ექსპერტი აღნიშნავს, რომ აშშ-ის მიერ უკრაინისათვის ჯაველინების მიწოდება არ დაწყებულა, გაკეთდა მხოლოდ სიტყვიერი დეკლარაცია. რუსეთსაც შეუძლია ამით ისარგებლოს და იერიშზე გადავიდეს.

– დაიწყებს თუ არა შეტევას რუსეთი, ეს ერთ ადამიანზე, ვლადიმერ პუტინზეა დამოკიდებული, – ამბობს ფოლკენგაუერი.

ექსპერტი ხაზს უსვამს, რომ რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები კარსაა მომდგარი! პუტინის ჯანმრთელობა უკანასკნელ ხანს გაუარესდა. მას წნევა და თავის ტკივილები აწუხებს. მიუხედავად ამისა, რუსეთის პრეზიდენტი „მაგარი ბიჭის" როლის თამაშს განაგრძობს. პუტინმა ნათლისღებაზე ვითომ გაყინულ წყალში იბანავა, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ეს სპექტაკლია. წყალი შეათბეს. პუტინიც მასში მხოლოდ ამის შემდეგ შევიდა.

– საზოგადოების თვალში პუტინი მაგარ ბიჭად გამოჩნდა. წავა თუ არა ასეთი კაცი ომზე, არ ვიცი, – ამბობს ფოლკენგაუერი

ამერიკელი ექსპერტი კრისტიან ვორმუტი თვლის, რომ აშშ-ის სტრატეგია უკრაინის მიმართ ფართო იქნება. ერთი მხრივ, ამერიკელები კურტ ვოლკერის მეშვეობით შეეცდებიან, დიპლომატიური მეთოდებით შედეგს მიაღწიონ; მეორე მხრივ, უკრაინას ლეტალურ იარაღს, კერძოდ, ჯაველინებს, მიაწვდიან, რათა რუსეთს უკრაინაში შეჭრის სურვილი აღარ ჰქონდეს და რეალურ მოლაპარაკებებზე წავიდეს.

– ჭეშმარიტი მშვიდობის უზრუნველყოფა ძალისმიერი ზეწოლის გზით – ასეთია მოკლედ ამერიკელთა ტაქტიკა უკრაინაში, – თვლის ვორმუტი.

უკრაინულმა პრორუსული ორიენტაციის ოპოზიციური ბლოკის ლიდერებმა ბოიკომ და ვილკულმა პარლამენტში შეიტანეს კანონპროექტი დონბასის რეინტეგრაციის შესახებ კანონის გაუქმების შესახებ.

ბოიკომ განაცხადა, რომ 6 თებერვალს დეპუტატები არდადეგებიდან დაბრუნდებიან და მათ კანონპროექტს განიხილავენ. მანამდე არც პრეზიდენტ პოროშენკოს, არც პარლამენტის სპიკერ პარუბიის არა აქვთ უფლება, ხსენებულ კანონს ხელი მოაწერონ.

– ფაქტობრივად, დონბასის რეინტეგრაციის შესახებ კანონის მოქმედებაში შეყვანა შეჩერებულია! – განაცხადა ბოიკომ.

პრეზიდენტმა პოროშენკომ ამაზე კომენტარი არ გააკეთა, პარუბიიმ კი აღნიშნა:

– პუტინის ხელის ბიჭუნები, რომლებიც „ოპოზიციურ ბლოკში" არიან გაერთიანებულნი, დაფაცურდნენ!

„კორესპონდენტ ნეტი" აღნიშნავს, რომ ოპოზიციურმა ბლოკმა ამ ეტაპზე დონბასის რეინტეგრაციის კანონის ბლოკირება შეძლო. მიუხედავად ამისა, რუსების შეტევის საფრთხე მაინც რეალურია.

– დაიწყება თუ არა ფართომასშტაბიანი ომი, უახლოესი ერთი-ორი კვირის განმავლობაში გამოჩნდება! – თვლის ფოლკენგაუერი.

## მაიკ პენსი ეგვიპტეში ჩავიდა



აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა ახლო აღმოსავლეთში ტურნე დაიწყო.

მისი ვიზიტი ეგვიპტეში ერთხანს კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ აშშ-ის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების შემდეგ ეგვიპტის ლიდერი სისი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტთან შეხვედრაზე უარს იტყოდა. ეს არ გამართლდა. სისი პენსთან შეხვედრას დათანხმდა.

– აშშ ჩვენი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია! – თქვა სისიმ.

თავის მხრივ, პენსმაც შენიშნა, ტერორიზმთან ბრძოლაში ჩვენ და ეგვიპტე ერთად ვდგავართო.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის ტურნე ახლო აღმოსავლეთში დაიწყო.

## თურქეთმა სირიაში ქურთებს დაარტყა

თურქეთის შეიარაღებული ძალების არტილერიამ სირიაში, აფრინის რაიონში, ქურთების პოზიციებს ცეცხლი გაუხსნა.

არსებული ინფორმაციით, თურქულმა მხარემ საარტილერიო დარტყმა განახორციელა „სახალხო თავდაცვის ძალებზე". ჯამში, სულ 153 საარტილერიო დარტყმა განხორციელდა ქურთების პოზიციებზე.



„სახალხო თავდაცვის ძალები" თურქეთში აკრძალულ „ქურთისტანის მუშათა პარტიასთან" არის დაკავშირებული.

20 იანვარს თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა სირიაში, აფრინის რაიონში მდებარე ქურთული ფორმირებების წინააღმდეგ ოპერაცია „ზეთისხილის ტოტი" დაიწყო.

## ბუქარესტში საპროტესტო აქციებია



რუმინეთის დედაქალაქში მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო. ქუჩაში ათეულობით ათასი ადამიანი გამოვიდა. ისინი აპროტესტებენ პარლამენტის უკანასკნელ დადგენილებას, რომლის თანახმად, ანტიკორუფციული კანონის რიგი მუხლები უქმდება.

– ხელისუფლება კორუფციონერებს მფარველობს! ძირს კორუფცია მთავრობაში! – სკანდირებდნენ მომიტინგენი.

## გერმანია ბულგარეთის შენგენის ზონასთან შეერთებას მხარს უჭერს



ევროკავშირის ლიდერები ბულგარეთში შენგენის ზონასთან შეერთების საკითხს განიხილავენ. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი აცხადებს, რომ განხილვა დასკვნით სტადიაში შევიდა.

– გერმანია მხარს უჭერს ბულგარეთის შენგენის ზონასთან შეერთებას, – განაცხადა მერკელმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### შეურაცხყოფილმა ბრიტანელმა წონაში 100 კილოზე მეტი დაიკლო



ბრიტანელმა ქალმა, რომელიც 190 კილოგრამს იწონიდა, 76 კილოგრამამდე დაიკლო, რათა შვილების გაჩენის შანსი მისცემოდა, ასევე იმისთვის, რათა აღარ მოესმინა მისი მისამართით გამოთქმული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები.

ბრისტოლის მცხოვრები 27 წლის ემი მერფი ყოველთვის უზომოდ ბევრს ჭამდა, ამასთან ეშინოდა, რომ საკუთარი ზომების გამო შვილებს ვერ იყოლიებდა.

– ჩემ მთავარ მოტივაციას 30 წლამდე ოჯახის შექმნა წარმოადგენდა, ჩემი ადრინდელი წონით კი მშობიარობა შეუძლებელი იქნებოდა, – განმარტა მერფიმ, თუმცა მისი თქმით, ზედმეტი წონა მის ჯანმრთელობაზე არ აისახებოდა.

ადრე მერფის ძალიან უყვარდა ჩიფსები და პიცა, მაგრამ ყველაზე მეტად მას ჩინური სამზარეულო მოსწონდა: ბრინჯი და ლაფშა. თუმცა გოგონა საყვარელი საჭმელებისგან სიამოვნების მიღებას საზოგადოებრივ ადგილებში ვერ ახერხებდა, ვინაიდან მას ზედმეტი წონის გამო გამუდმებით დასცინოდნენ და შეურაცხყოფდნენ. გარდა ამისა, მას ისიც ანერვიულებდა, რომ მის ყველა ნაცნობს უკვე ჰყავდა ბავშვები, მას კი არა.

იმ დღეს, როდესაც მერფიმ საბოლოოდ გადაწყვიტა ოპერაცია გაეკეთებინა, 45 წუთის განმავლობაში, როდესაც ავტობუსით მგზავრობდა, მას ხუთმა ადამიანმა მიაყენა შეურაცხყოფა. გოგონას კუჭის შუნტირება გაუკეთეს, ამის შემდეგ კი მან მთლიანად გადახედა საკუთარ დიეტას.

ოპერაციის შემდეგ სავარჯიშო დარბაზში დაიწყო სიარული, მხოლოდ ჯანსაღ საკვებს იღებდა. ასეთი ხერხით მან 114 კილოგრამის დაკლება მოახერხა და გახდომას ისევ აგრძელებს.

### მესამე სართულიდან ჩამოვარდნილი გოგონა მეხანძრეს ხელებში ჩაუვარდა



აშშ-ში მეხანძრემ ცეცხლმოკიდებული სახლის მესამე სართულიდან გადმოგდებული გოგონა ხელებში დაიჭირა. ვიდეომ, რომელიც ერთ-ერთი მეხანძრის ჩაფხუტზე დამაგრებული კამერითაა გადაღებული, მას მედიის ყურადღება მიიპყრო.

ვიდეორგოლში ჩანს, რომ მეხანძრე სკოტ სტროუპი იჭერს ბავშვს, რომელიც დედამ მესამე სართულის აივნიდან გადმოუგდო. თავად დედამ თავის გადარჩენა კიბეზე ჩამოსვლით შეძლო. სტროუპმა ბავშვი ალმოდებულ სახლს გაარიდა და ოდნავ მოშორებით მყოფ მედიკოსებს გადასცა.

– ჩვენ ბავშვებს ისე ვიჭერდით, თითქოს ამერიკულ ფეხბურთს ვთამაშობდით. მოზრდილები აივნებიდან ბავშვებს პირდაპირ ხელებში გვესროდნენ. რამდენიმე ჩემმა კოლეგამ ახალშობილებიც კი დაიჭირეს და ეს უბრალოდ წარმოუდგენელი იყო, – აღნიშნა სახანძრო ბრიგადის ხელმძღვანელმა ერიკ ჯონსონმა.

ხანძრის შედეგად სულ 12 ადამიანი დაშავდა, მათი უმრავლესობა ბოლით მოიწამლა.

### ბავშვის საწოლის ქვეშ მეტრ-ნახევარი სიგრძის იგუანი იმალებოდა



ავსტრალიაში გველებზე მონადირემ უზარმაზარი იგუანი ბავშვის საწოლის ქვემოდან გამოათრია. ამ მოვლენის ამსახველმა ვიდეომ მასმედიის ყურადღება მიიპყრო.

გველებზე მონადირე სტიუარტ მაკენზი გამოძახებაზე მივიდა ავსტრალიის კვინსლენდის შტატის სანშაინ-კოსტის რაიონში მდებარე საცხოვრებელ სახლში. მისმა პატრონებმა დაიჩივლეს, რომ მათი საქათმიდან „ფეხებიანი რეპტილია" კვერცხებს იპარავდა. მათ ცხოველის გაგდება ცადეს, მაგრამ ის სახლში შევარდა და ბავშვის საწოლის ქვეშ შეძვრა.

თავდაპირველად მაკენზი შეეცადა, რეპტილია საწოლის ქვემოდან რკინის ჯოხის გამოყენებით, რომელსაც ბოლოში კავი ჰქონდა გაკეთებული, გამოეყვანა, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ მან ცხოველი შიშველი ხელებით გამოათრია.

– ეს იგუანი, მინიმუმ, მეტრ-ნახევარი სიგრძისაა და მას დიდი სქელი მუცელი აქვს, – განაცხადა გველებზე მონადირემ, რომელმაც დაჭერილი რეპტილია სახლის პატრონებს აჩვენა.

იგუანი ხელიდან დასხლტომას ცდილობდა, მაგრამ მაკენზიმ ის თეთრ ტომარაში მოათავსა. ცხოველის შემდგომი ბედი უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ქუთაისი დინამოს კრიზისით სარგებლობს

**ქუთაისი-ოლიმპი 92:60**
**(22:15, 21:16, 24:16, 25:13)**

ქუთაისში ბრძოლა არ შედგა. სუპერლიგის ლიდერმა ქუთაისმა მორიგი გამარჯვება იოლად მოიპოვა. ოლიმპი, რომელმაც წინა მატჩში ჩემპიონი თბილისის დინამო დაამარცხა, იმერეთის მთავარ ქალაქში ვერაფერი გააწყო და სუპერლიგის ვიცეჩემპიონთან 32 ქულით – 60:92 დამარცხდა.

მეტ-ნაკლებად თანაბარი გამოდგა პირველი ნახევარი, რომელშიც მასპინძლები, მართალია, იგებდნენ, მაგრამ სოლიდურად დაწინაურებას ვერ ახერხებდნენ. პირველი პერიოდი ქუთაისელებმა 22:15 მოიგეს, ხოლო მეორეში 21:16 იმარჯვეს და დიდ შესვენებაზე 12-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა კიდევ უფრო მოუმატეს და უპირატესობა 20 ქულამდე გაზარდეს. შეხვედრა ისე ჩამთავრდა, ოლიმპს რაიმეს შეცვლის შანსი არ მისცემია. ქუთაისმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა და სუპერლიგის ლიდერობა განიმტკიცა.

ქუთაისელებს აკაკი დვალიშვილმა ულიდერა, რომელმაც ორმაგი დუბლი – 13 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. 12 ქულით დაასრულა შეხვედრა დეჟუან რაითმა, ხოლო 10-10 ქულა რიჩარდ მათიაშვილმა და გიორგი ცირეკიძემ მიითვალეს. ოლიმპში 16 ქულით რევაზ როგავა გამოირჩა, გივი ბაქრაძემ კი 13 ქულა მოაგროვა.

**დელტა-დინამო 100:92 (დდ)**
**(15:14, 22:23, 24:25, 18:17, 21:13)**

სუპერლიგის ჩემპიონის კრიზისი გრძელდება. ირაკლი ხოშტარიას განწვრთნილმა გუნდმა 2018 წელს ჯერ გამარჯვება ვერ მოიპოვა. დინამოელებმა ამჯერად სუპერლიგის დებიუტანტ მარნეულის დელტასთანაც წააგეს და მიმდინარე ჩემპიონატში წარუმატებელი სერია 4 მატჩამდე გაზარდეს. მოქმედი ჩემპიონი 2018 წლის მატჩები მგზავრებთან, ბათუმთან, ოლიმპთან და ახლა უკვე დელტასთან წააგო.



გამარჯვებულის ვინაობა დამატებით დროში გაირკვა. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. ძირითადად დელტა ლიდერობდა, თუმცა დინამოელები არ რჩებოდნენ და ბოლო პერიოდში 8-ქულიანი ჩამორჩენაც აღმოფხვრეს და კაილ ტურპინის 2-ქულიანით თამაში ოვერტაიმშიც გადავიდა.

დამატებით ხუთწუთეულში კი დელტას მოთამაშეები მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. ნიკოლას ნილის სამქულიანებითა და დეანდრე რეის შედეგიანობით მარნეულელებმა საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს და მიმდინარე სეზონში მე-4 გამარჯვება გაიფორმეს.

**რუსთავი-მგზავრები 104:82**
**(23:22, 30:18, 25:21, 26:21)**

რამაზ გოგობერიშვილის განწვრთნილმა რუსთაველებმა მგზავრებს უმასპინძლეს და ზედმეტი გართულებების გარეშე, სოლიდური სხვაობით – 104:82 დაამარცხეს.

ქვემოქართლურმა გუნდმა ამ მატჩში მიმდინარე სუპერლიგის რეკორდი დაამყარა სამქულიან სროლებში. აქამდე საუკეთესო შედეგი ქუთაისს ჰქონდა, რომელმაც 5 დეკემბერს დელტას 16 სამიანი ჩაუგდო. ამჯერად კი რუსთაველებმა მგზავრებთან შეხვედრაში 17 სამქულიანი მიითვალეს და ძირითადად ამ კომპონენტის ხარჯზე მოახერხეს ესოდენ იოლი გამარჯვების მოპოვება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბუბა ბერიშვილის განწვრთნილი მგზავრების წევრებმა მხოლოდ 1 სამიანი ჩააგდეს, ყველაფერი ცხადი გახდება.

გამარჯვებულ რუსთაველებს 26 ქულით რეზო ჩაჩანიძემ ულიდერა, რომელმაც 8 ცდიდან 7 სამქულიანი ჩააგდო. 24 ქულა, 7 მოხსნა და 7 პასი მიითვალა ადამ ბლეიზეკმა, ხოლო ლევან ხმელიძის ანგარიშზე 13 ქულა დაგროვდა. მგზავრებში 19 ქულით საუკეთესო იყო ავთანდილ ლომინაშვილი, ადრიან ბოუის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა.

**სოხუმი-კაქტუსი 102:105**
**(22:29, 26:19, 22:25, 32:32)**

მიმდინარე ჩემპიონატში 1 მოგების მქონე და ბოლო ადგილზე მყოფი სოხუმი გადახალისებული შემადგენლობით შეხვდა. გუნდიდან წასული ვიტაუტას კამარუნასისა და ანატოლი ჩელოვანის ნაცვლად სოხუმელებმა 2 ამერიკელი ლეგიონერი – ბიშოპ დანიელსი და ჯორდან პრაისი შეიმატეს.

ორივე მათგანი რიგიანი კალათბურთელია და გუნდს აუცილებლად გააძლიერებს. მათ ჯერ სოხუმთან მხოლოდ 1 ვარჯიში ჩაატარეს და ამ მატჩში საუკეთესონი იყვნენ. დენიელსმა პირველ ტაიმში თამაშიდან ბურთი არ გააცუდა და დიდ შესვენებამდე ნათამაშებ 12 წუთში 24 ქულა მიითვალა. სოხუმელებს გუნდურობა აკლდათ, კაქტუსს კი – პირიქით. სწორედ ამის ხარჯზე იგებდა არჩილ ჟღენტის გუნდი მთელი თამაში, ხოლო სოხუმი სულ მდევრის როლში იყო და ორჯერ ბურთის გათანაბრება მოახერხა. პირველად ტაიმის ბოლოს და დიდ შესვენებაზე ფრე დაფიქსირდა – 48:48.

კაქტუსმა მესამე პერიოდი 25:22 მოიგო და ბოლო პერიოდის წინ 73:70 დაწინაურდა. მეოთხე ათწუთეულის დასაწყისში ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრდა. ჯორდან პრაისის 3 ზუსტი საჯარიმოს შემდეგ ტაბლოზე 73:73 ენთო. ამას მოჰყვა კაქტუსელების გაქცევა, რაც მათი ლეგიონერების – ჯონ მიტჩელისა და კრისტიან ჯონსონის დამსახურება გახლდათ. ამ უკანასკნელის სამქულიანის შემდეგ კაქტუსელები 10 ქულით – 87:77 დაწინაურდნენ. სოხუმელებმა მაინც მოახერხეს ბოლომდე შანსის შენარჩუნება. მესამე ამერიკელმა ლეგიონერმა, კვან უოლერმაც გაისწორა მიზანი, რომელიც პრაისს და დენიელსს შეეშველა და ბოლო წუთზე სოხუმელებმა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს.

ტაქტიკური ჯარიმის შემდეგ კაქტუსელთა ამერიკელმა ლეგიონერმა, დეანდრე პარკსმა მხოლოდ 1 საჯარიმო ჩააგდო და დარჩენილ 4 წამში სოხუმელებმა გამთანაბრებელი სამქულიანის სროლა მოასწრეს. უოლერის შორეული ტყორცნა კაქტუსელთა ფარის რკალს მოხვდა და შეხვედრაც დასრულდა – 105:102.

კაქტუსს 36 ქულით კრისტიან ჯონსონმა ულიდერა. 20 ქულა დაგროვდა დეანდრე პარკსის ანგარიშზე, ხოლო ჯონ მიტჩელმა ორმაგი დუბლი – 15 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. სოხუმში 34 ქულით საუკეთესო იყო ბიშოპ დანიელსი. 27 ქულა მოაგროვა ჯორდან პრაისმა, ხოლო ლევან რევაზაშვილისა და კვან უოლერის ანგარიშზე 18-18 ქულა დაგროვდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 15 | 12 | 3 | 1300:1136 | 27 |
| 2.დინამო | 15 | 10 | 5 | 1234:1106 | 25 |
| 3.რუსთავი | 15 | 10 | 5 | 1233:1132 | 25 |
| 4.ბათუმი | 15 | 9 | 6 | 1147:1049 | 24 |
| 5.ოლიმპი | 15 | 9 | 6 | 1160:1105 | 24 |
| 6.კაქტუსი | 15 | 8 | 7 | 1187:1232 | 23 |
| 7.მგზავრები | 15 | 5 | 10 | 1140:1276 | 20 |
| 8.დელტა | 15 | 4 | 11 | 1157:1289 | 19 |
| 9.სოხუმი | 16 | 1 | 15 | 1200:1433 | 17 |

# ყვითელაშვილმა ევროპა ჩააგდო



რუსეთში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა მორის ყვითელაშვილმა და ირაკლი მაისურაძემ, შესაბამისად, მე-12 და მე-17 ადგილები დაიკავეს.

17 წლის მაისურაძისთვის ეს სადებიუტო ევროპირველობა იყო, ამიტომ მისი გამოსვლა წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით ყვითელაშვილზე, რომელიც მოკლე პროგრამის მერე მე-7 იყო და მედლისთვის ბრძოლაც შეეძლო, მაგრამ თავისუფალი პროგრამა ჩააგდო.

22 წლის ყვითელაშვილმა ასპარეზობისთვის 133.73 ქულა მიიღო და ჯამში 210.47 ქულა მოაგროვა, არადა, მისი საუკეთესო მაჩვენებელი 250.26 ქულაა, რითაც ის მოსკოვურ ტურნირზე მე-4 იქნებოდა.

თავისუფალ პროგრამაში თანამემამულეს მცირედით ჩამორჩა მაისურაძე, რომელმაც მისთვის სარეკორდო 127.53 ქულა მიიღო და ჯამშიც მისთვის საუკეთესო მაჩვენებელი (191.22) ჰქონდა.

ირაკლი მოკლე პროგრამის მერე მე-18 იყო, ევროპის 2018 წლის ჩემპიონატი კი მე-17 საფეხურზე დაასრულა.

# ბასილაშვილი ავსტრალიას თრილერში დაემშვიდობა



საქართველოს პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობას დრამატულ, 3:38-საათიან ბრძოლაში გამოეთიშა. მსოფლიო რეიტინგში 61-ე პოზიციაზე მყოფმა ქართველმა მეთექვსმეტედფინალში რეიტინგით 49-ე ადგილზე მყოფ კაილ ედმუნდთან 5 სეტში დასანანი მარცხი იწვნია. არადა, ჩვენებური ახლოს იყო გამარჯვებასთან.

პირველი სეტი ბასილაშვილმა ტაი-ბრეიკზე წააგო. ჩვენებური მეორე სეტში 3:1 აგებდა, მაგრამ შემოტრიალება მოახერხა – 6:3. ბასილაშვილმა მოიგო მომდევნო სეტიც – 6:4. სამაგიეროდ, ქართველს მე-4 სეტი სრულიად ჩაუვარდა და 0:6 დამარცხდა.

გადამწყვეტ პარტიაში, როდესაც ანგარიში 5:5 იყო ედმუნდის მოწოდებაზე, ჩვენებურს 2 დაფარული მატჩ-ბოლი ჰქონდა. თუ მოიგებდა მეტოქის მოწოდებას, შემდეგ თავად აწვდიდა, მაგრამ ბრიტანელმა მოახერხა თავისი მოწოდების გადარჩენა, შემდეგ კი ნიკოლოზს აართვა და 7:5 იმარჯვა.

ბასილაშვილმა წლის პირველ დიდ სლემზე 90 სარეიტინგო ქულა და 150.000 დოლარი გამოიმუშავა.

# ბითაძე საუკეთესოა – გოგამ ლიდერს 23 ქულა ჩაუგდო



ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა გასვლითი მოგებების წარმატებული სერია მე-15 მატჩზე შეწყვიტა. ნბა-ს ჩემპიონმა ტეხასში ჰიუსტონ როკეტსთან 108:116 წააგო. არადა, ოკლენდელები რეკორდზე მიდიოდნენ, რაც 16-მატჩიანი წაუგებელი სერიის ტოლია და ის 1971-72 წლების სეზონში ლოს ანჯელეს ლეიკერსმა დაამყარა.

ქართველმა ცენტრმა, ტრადიციულად, სასტარტო ხუთეულში ითამაშა. ფაჩულიამ მოედანზე 16 წუთი გაატარა, რის განმავლობაშიც 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო და მთლიანობაში 4 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი მიითვალა.

ჰიუსტონელების გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო კრის პოლმა, 33 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი და 3 ჩჭრა მიითვალა. საკვანძო სამქულიანი და მთლიანობაში 22 ქულა ჩააგდო ჯეიმზ ჰარდენმა, ფაჩულიას ოპონენტმა კლინ კაპელამ კი 18 ქულა მოინაგრა.

გოლდენ სტეიტს წაგება არც შეუმჩნევია, ისევ დიდი უპირატესობით ლიდერობს ნბა-ს. ოკლენდელებს 37 მოგება და 10 მარცხი აქვთ და შემდეგ შეხვედრას შინ ნიუ იორკთან ჩაატარებენ.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი, 18 წლის გოგა ბითაძე, მნიშვნელოვნად პროგრესირებს. ქართველმა ცენტრმა სერბულ მეგა ბიმაქსში პირადი რეკორდი დაამყარა. მისმა გუნდმა ადრიატიკის ლიგაში ხორვატულ ცედევიტასთან ზაგრებში ითამაშა და ბითაძემ 23 ქულა მოაგროვა.

მეგა ბიმაქსი დაძაბულ ბრძოლაში 73:75 დამარცხდა, ქართველი კალათბურთელი კი ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა. ბითაძე სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 30 წუთში 23 ქულა, 6 მოხსნა (3 შეტევაში), 2 პასი და 2 დაფარება მიითვალა. გოგამ 13-დან 9 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 30-ს გაუტოლდა და ის შეხვედრის საუკეთესო კალათბურთელი გახდა.

მეგა ბიმაქსმა 5 მოგებითა და 12 მარცხით ადრიატიკის ლიგაში მე-9 ადგილზე გადაინაცვლა, მომდევნო შეხვედრას კი აშკარა აუტსაიდერ სკოპიესთან ჩაატარებს და აუცილებლად გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს.

# შედეგები

## 20 იანვარი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბრაიტონი-ჩელსი ........ 0:4
არსენალი-კრ.პალასი ........ 4:1
ბარნლი-მანჩესტერი ........ 0:1
ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი ........ 1:1
ლესტერი-უოტფორდი ........ 2:0
სტოკი-ჰადერსფილდი ........ 2:0
ვესტ ჰემი-ბორნმუთი ........ 1:1
სიტი-ნიუკასლი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 24 | 21 | 2 | 1 | 70:18 | 65 |
| 2.მანჩესტერი | 24 | 16 | 5 | 3 | 49:16 | 53 |
| 3.ჩელსი | 24 | 15 | 5 | 4 | 45:16 | 50 |
| 4.ლივერპული | 23 | 13 | 8 | 2 | 54:28 | 47 |
| 5.ტოტენჰემი | 23 | 13 | 5 | 5 | 46:21 | 44 |
| 6.არსენალი | 24 | 12 | 6 | 6 | 45:31 | 42 |
| 7.ლესტერი | 24 | 9 | 7 | 8 | 36:32 | 34 |
| 8.ბარნლი | 24 | 9 | 7 | 8 | 19:21 | 34 |
| 9.ევერტონი | 24 | 7 | 7 | 10 | 26:39 | 28 |
| 10.უოტფორდი | 24 | 7 | 5 | 12 | 33:44 | 26 |
| 11.ვესტ ჰემი | 24 | 6 | 8 | 10 | 30:42 | 26 |
| 12.ბორნმუთი | 24 | 6 | 7 | 11 | 25:36 | 25 |
| 13.კრ.პალასი | 24 | 6 | 7 | 11 | 22:37 | 25 |
| 14.ჰადერსფილდი | 24 | 6 | 6 | 12 | 19:41 | 24 |
| 15.ნიუკასლი | 24 | 6 | 5 | 13 | 22:34 | 23 |
| 16.ბრაიტონი | 24 | 5 | 8 | 11 | 17:33 | 23 |
| 17.სტოკი | 24 | 6 | 5 | 13 | 25:50 | 23 |
| 18.საუთჰემპტონი | 23 | 4 | 9 | 10 | 23:34 | 21 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 24 | 3 | 11 | 10 | 19:31 | 20 |
| 20.სუონსი | 23 | 4 | 5 | 14 | 14:35 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-ბარნსლი ........ 3:1
ბოლტონი-იფსვიჩი ........ 1:1
ვულვზი-ნოტინგემი ........ 0:2
ქპრ-მიდლსბრო ........ 0:3
ლიდსი-მილუოლი ........ 3:4
ნორვიჩი-შეფილდი ........ 1:2
პრესტონი-ბირმინგემი ........ 1:1
რედინგი-ბრენტფორდი ........ 0:1
სანდერლენდი-ჰალი ........ 1:0
ფულემი-ბარტონი ........ 6:0
უენსდი-კარდიფი ........ 0:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-სევილია ........ 0:3
ატლეტიკო-ხირონა ........ 1:1
ვილიარეალი-ლევანტე ........ 2:1
ლას პალმასი-ვალენსია ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 16 | 3 | 0 | 52:9 | 51 |
| 2.ატლეტიკო | 20 | 12 | 7 | 1 | 29:9 | 43 |
| 3.ვალენსია | 20 | 12 | 4 | 4 | 41:21 | 40 |
| 4.ვილიარეალი | 20 | 10 | 4 | 6 | 28:22 | 34 |
| 5.რეალი | 18 | 9 | 5 | 4 | 32:17 | 32 |
| 6.სევილია | 20 | 10 | 2 | 8 | 26:28 | 32 |
| 7.ხეტაფე | 20 | 7 | 6 | 7 | 25:20 | 27 |
| 8.ხირონა | 20 | 7 | 6 | 7 | 29:29 | 27 |
| 9.ბეტისი | 19 | 8 | 3 | 8 | 33:36 | 27 |
| 10.ეიბარი | 19 | 8 | 3 | 8 | 24:31 | 27 |
| 11.ბილბაო | 20 | 6 | 8 | 6 | 23:22 | 26 |
| 12.სელტა | 19 | 7 | 4 | 8 | 33:27 | 25 |
| 13.ლეგანესი | 18 | 7 | 3 | 8 | 15:17 | 24 |
| 14.ესპანიოლი | 20 | 6 | 6 | 8 | 16:25 | 24 |
| 15.სოსიედადი | 19 | 6 | 5 | 8 | 33:34 | 23 |
| 16.ალავესი | 19 | 6 | 0 | 13 | 14:27 | 18 |
| 17.ლევანტე | 20 | 3 | 9 | 8 | 16:28 | 18 |
| 18.დეპორტივო | 19 | 4 | 4 | 11 | 21:37 | 16 |
| 19.ლას პალმასი | 20 | 4 | 2 | 14 | 16:47 | 14 |
| 20.მალაგა | 19 | 3 | 2 | 14 | 13:33 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-სევილია ბ ........ 1:0
კორდობა-ალბასეტე ........ 1:0
ოვიედო-ალმერია ........ 2:1
ლორკა-უესკა ........ 2:3
ლუგო-ხიხონი ........ 3:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი ........ 1:4
ფრაიბურგი-ლაიპციგი ........ 2:1
გლადბახი-აუგსბურგი ........ 2:0
მაინცი-შტუტგარტი ........ 3:2
ვოლფსბურგი-აინტრახტი ........ 1:3
ჰამბურგი-კიოლნი ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 18 | 14 | 2 | 2 | 40:12 | 44 |
| 2.ლევერკუზენი | 19 | 8 | 7 | 4 | 39:27 | 31 |
| 3.ლაიპციგი | 19 | 9 | 4 | 6 | 31:28 | 31 |
| 4.გლადბახი | 19 | 9 | 4 | 6 | 30:30 | 31 |
| 5.დორტმუნდი | 19 | 8 | 6 | 5 | 40:25 | 30 |
| 6.შალკე | 18 | 8 | 6 | 4 | 29:24 | 30 |
| 7.აინტრახტი | 19 | 8 | 6 | 5 | 24:20 | 30 |
| 8.აუგსბურგი | 19 | 7 | 6 | 6 | 28:25 | 27 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 19 | 7 | 6 | 6 | 29:27 | 27 |
| 10.ჰანოვერი | 18 | 7 | 5 | 6 | 27:28 | 26 |
| 11.ჰერტა | 19 | 6 | 7 | 6 | 27:27 | 25 |
| 12.ფრაიბურგი | 19 | 5 | 8 | 6 | 20:33 | 23 |
| 13.ვოლფსბურგი | 19 | 3 | 11 | 5 | 22:24 | 20 |
| 14.შტუტგარტი | 19 | 6 | 2 | 11 | 16:24 | 20 |
| 15.მაინცი | 19 | 5 | 5 | 9 | 24:33 | 20 |
| 16.ვერდერი | 18 | 3 | 7 | 8 | 14:21 | 16 |
| 17.ჰამბურგი | 19 | 4 | 3 | 12 | 15:28 | 15 |
| 18.კიოლნი | 19 | 3 | 3 | 13 | 14:33 | 12 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ჩიტადელა ........ 1:2
კრემონეზე-პარმა ........ 1:0
ნოვარა-კარპი ........ 1:0
პერუჯა-ვირტუსი ........ 2:0
სალერნიტანა-ვენეცია ........ 3:2
ფოჯა-პესკარა ........ 0:1
ფროზინონე-პრო ვერჩელი ........ 4:0
ემპოლი-ტერნანა ........ 2:1
სპეცია-პალერმო ........ 0:0
ჩეზენა-ბარი ........ 1:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-ბორდო ........ 0:1
ამიენი-გენგამი ........ 3:1
მონპელიე-ტულუზა ........ 2:1
რენი-ანჟე ........ 1:0
სტრასბური-დიჟონი ........ 3:2
ტრუა-ლილი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 21 | 18 | 2 | 1 | 67:15 | 56 |
| 2.მარსელი | 22 | 14 | 5 | 3 | 45:22 | 47 |
| 3.ლიონი | 21 | 13 | 6 | 2 | 49:21 | 45 |
| 4.მონაკო | 21 | 13 | 4 | 4 | 48:21 | 43 |
| 5.ნანტი | 22 | 10 | 4 | 8 | 19:21 | 34 |
| 6.მონპელიე | 22 | 7 | 10 | 5 | 20:15 | 31 |
| 7.რენი | 22 | 9 | 4 | 9 | 27:30 | 31 |
| 8.ნიცა | 21 | 9 | 4 | 8 | 27:31 | 31 |
| 9.გენგამი | 22 | 8 | 5 | 9 | 24:29 | 29 |
| 10.სტრასბური | 22 | 7 | 6 | 9 | 27:37 | 27 |
| 11.კაენი | 22 | 8 | 3 | 11 | 14:24 | 27 |
| 12.ბორდო | 22 | 7 | 5 | 10 | 24:31 | 26 |
| 13.ამიენი | 22 | 7 | 4 | 11 | 20:24 | 25 |
| 14.დიჟონი | 22 | 7 | 4 | 11 | 31:45 | 25 |
| 15.ტრუა | 22 | 7 | 3 | 12 | 22:31 | 24 |
| 16.სტ.ეტიენი | 21 | 6 | 5 | 10 | 20:36 | 23 |
| 17.ანჟე | 22 | 4 | 10 | 8 | 25:32 | 22 |
| 18.ლილი | 22 | 6 | 4 | 12 | 19:33 | 22 |
| 19.ტულუზა | 22 | 5 | 5 | 12 | 20:32 | 20 |
| 20.მეცი | 21 | 4 | 3 | 14 | 17:35 | 15 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნიმი-შატორუ ........ 3:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

როდა-ტვენტე ........ 1:1
დენ ჰააგი-ვენლო ........ 1:1
ზვოლე-ბრედა ........ 1:0
ვიტესი-ჰერენვენი ........ 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-ბელენენსეში ........ 0:0
ბენფიკა-შავიში ........ 3:0
პორტიმორენშე-ბრაგა ........ 1:2

**ბელგია. 1 დივიზიონი**

სტანდარდი-ეუპენი ........ 3:2
ბევერენი-სტ.ტრუიდენი ........ 3:1
ოსტენდე-კორტრაიკი ........ 2:1
მეხელენი-ვარეგემი ........ 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პლატანიასი-ლევადიაკოსი ........ 1:0
პანათინაიკოსი-კერკირა ........ 4:0
ლარისა-აეკი ........ 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-გენჩლერი ........ 0:2
ოსმანლი-მალათია ........ 0:0
ფენერბახჩე-გიოზთეფე ........ 2:1

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

კარენო ბუსტა-ჩილიჩი .... 7:6,3:6,6:7,6:7
ნადალი-შვარცმანი ...... 6:3,6:7,6:3,6:3
ედმუნდი-სეპი ........ 6:7,7:5,6:2,6:3

**ქალები**

კონტევეიტი-სუარეს ნავარო .... 6:4,4:6,6:8
რიბარიკოვა-ვოზნიაცკი ........ 3:6,0:6
მარტიჩი-მერტენსი ........ 6:7,5:7

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## გოლფის მოედანი პითონისა და ალიგატორის ბრძოლის არენად იქცა

ამერიკის ფლორიდის შტატში გოლფის მოთამაშეები დიდი ალიგატორისა და ვეფხვისებური პითონის ორთაბრძოლის თვითმხილველები გახდნენ.



მატჩის მონაწილეებმა ერთმანეთს შეჭიდებული რეპტილიები გოლფის მოედნის მეათე ლუზასთან აღმოაჩინეს. ერთ-ერთი სპორტსმენის თქმით, არც პითონი და არც ალიგატორი არ ინძრეოდნენ.

— პითონის თავი ალიგატორს პირში ედო, რომელიც გაუნძრევლად, ფართოდ გახელილი თვალებით იწვა, — განაცხადა სპორტსმენმა.

მეგოლფე ამტკიცებს, რომ ამ მოედანზე ყოველთვის მრავლად იყვნენ ცხოველები, მაგრამ აქამდე არასოდეს შესწრებიან მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლას.

მეათე ლუზასთან ხალხმა მოიყარა თავი, რომლებსაც უჩვეულო სანახაობის ხილვა სურდათ. ბევრი მათგანი რეპტილიების ორთაბრძოლას მობილური ტელეფონით იღებდა. თვითმხილველები ამტკიცებენ, რომ საბოლოოდ გამარჯვება ალიგატორს დარჩა. მან მკვდარი პითონი წყალში ჩაათრია და მიიმალა.

## სალვადორელ სილამაზის დედოფალს სცენაზე ცეცხლი წაეკიდა



სალვადორის ქალაქ კუიზნაუატში სილამაზის კონკურსის მონაწილეს თავსაბურავზე ცეცხლი წაეკიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც „მოსავლის დედოფლად“ არჩეული გოგონა სცენაზე ბუმბულებისგან შექმნილი უზარმაზარი თავსამკაულით გამოვიდა. ის წამოედო ჩირაღდანს, რომელიც შოუს ერთ-ერთ მონაწილეს ეჭირა და ბუმბულები სწრაფად აალდა.

გოგონას დასახმარებლად სილამაზის კონკურსის თანამშრომლები მისცვივდნენ. ისინი სცენაზე შეიჭრნენ, გოგონას ცეცხლწაკიდებული თავსამკაული მოაძვრეს და ცეცხლი ჩააქრეს. გოგონა ამ შემთხვევის შედეგად არ დაშავებულა.

## შიშველი მამაკაცის გამო ქალი კლდის შვერილზე აცოცდა



ავსტრალიელი ქალბატონი კლდის შვერილზე აცოცდა, რათა თავიდან აერიდებინა ეკსგიბიციონისტთან შეხვედრა.

ინციდენტი ავსტრალიის ვიქტორიის შტატის ქალაქ პეტერსბოროში მოხდა. ქალმა მისკენ მიმავალი შიშველი მამაკაცი შენიშნა, რომელსაც ხელზე ცხენის ნალის მსგავსი სვირინგი ჰქონდა გაკეთებული და პლაჟზე ირუჯებოდა.

— ის უღირსს მოძრაობებს აკეთებდა, შემდეგ კი, როდესაც მის ახლოს აღმოჩნდა, ხელები ზევით აღმართა, — განაცხადა ვიქტორიის შტატის პოლიციის წარმომადგენელმა.

ქალი არ დაელოდა, როდის მივიდოდა მამაკაცი ძალიან ახლოს. ის წამოხტა, იქვე ახლოს მდებარე კლდისკენ გაიქცა და ცხრა მეტრის სიმაღლეზე აცოცდა. ქალი ზევიდან ადევნებდა თვალს, თუ როგორ დადიოდა წინ და უკან მამაკაცი პლაჟზე, სანამ თვალს არ მიეფარა.

პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო და ეკსგიბიციონისტის ფოტორობოტი გაავრცელა.

## ამერიკელი მოდელი ინფიცირებული ტამპონის გამო უფეხოდ დარჩა



ამერიკელ მოდელს ლორენ ვასერს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ინფექციის გამო, რომელიც ჰიგიენური ტამპონიდან მოხვდა მის ორგანიზმში, ფეხი დაკარგა, მეორე ფეხის ამპუტაცია გაუკეთდა.

ოპერაციის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც 29 წლის მოდელმა ინსტაგრამში ემი პერდისთან შეხვედრის ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ცნობილი პარასნოუბორდისტი, მასთან საავადმყოფოში ფეხის ამპუტაციის შემდეგ მივიდა.

2012 წელს ვასერმა გამოიყენა ტამპონი, რომელიც სტაფილოკოკით აღმოჩნდა დასნებოვნებული. ბაქტერიამ ინფექციურ-ტოქსიკური შოკი გამოიწვია. თავდაპირველი სიმპტომები გრიპს წააგავდა, თუმცა გოგონას მდგომარეობა სულ უფრო მეტად უარესდებოდა. გულის შეტევის შემდეგ ის რეანიმაციაში აღმოჩნდა, შემდეგ მის ფეხებს განგრენა დაეწყო. მას მარჯვენა ფეხზე ქუსლი და ფეხისგულის ნაწილი მოაჭრეს, ხოლო მარცხენაზე ფეხის თითები.

ექიმები მარცხენა ფეხის მოკვეთას ურჩევდნენ, მაგრამ ვასერს მისი შენარჩუნების იმედი ჰქონდა. გასული წლის ნოემბერში მოდელმა ერთ-ერთ გამოცემასთან საკუთარ ცხოვრებაზე ისაუბრა.

— მარცხენა ტერფზე ღია წყლული მაქვს, აღარ მაქვს ქუსლი და ფეხის თითები, — განაცხადა მოდელმა, რამდენიმე თვეში უეჭველად მომიწევს მარცხენა ფეხის ამპუტირებაც. სხვა აღარაფერი დამრჩენია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ამერიკულმა ოჯახმა საკუთარ სახლში საიდუმლო ოთახი აღმოაჩინა




ამერიკულმა ოჯახმა საკუთარ სახლში სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა საიდუმლო ოთახი, რომელიც ავტოფარეხის ქვეშ მდებარეობდა.

გვიან ღამით ბუშების ოჯახი ხმაურმა გააღვიძა. ისინი ქვევით ჩავიდნენ იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა, მაგრამ ვერაფერი შენიშნეს, თუმცა მეორე დღეს ბრიტანი ბუში კინაღამ ავტოფარეხში მოულოდნელად გაჩენილ ხვრელში ჩავარდა.

— ავტოფარეხის კარი გავაღე და შიგნით შევაბიჯე, მაგრამ ჩემი მარჯვენა ფეხი სადღაც ჩავარდა. კარს ჩამოვეკიდე და ყვირილი მოვრთე, — განაცხადა ქალმა.

აღმოჩნდა, რომ ავტოფარეხის ქვეშ კიდევ ერთი ოთახი მდებარეობდა. მასში ბუშების ოჯახის წევრებმა აღმოაჩინეს ქალის ხელჩანთა, ბიგუდები, სათამაშოები და რამდენიმე წერილი. როდესაც მათ ორი წლის წინ სახლი შეიძინეს, აღნიშნული ოთახი გეგმაში არ იყო მითითებული. მისი არსებობის თაობაზე ასევე არაფერი იყო ცნობილი სახლის გამყიდველისთვისაც.

ოჯახმა სადაზღვევო ფირმას მიმართა იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ადგილზე მისულმა კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძალიან იყო გაკვირვებული იმით, რომ ბეტონის იატაკმა ამდენ ხანს გაუძლო. მისი თქმით, მისი სისქე მხოლოდ ხუთი სანტიმეტრი იყო.

სავარაუდოდ, ოთახი გაკეთებული იყო, როგორც ბომბსაწინააღმდეგო თავშესაფარი. ბუშების ოჯახს იმედი აქვს, რომ სარდაფის ნამდვილ ისტორიას შეიტყობენ, მაგრამ, ამავე დროს, იქ რაიმე საშინელის აღმოჩენის ეშინიათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. მსხვილი მახრჩობელა გველი; 2. კინოოპერატორი ... ახვლედიანი; 3. ნოტი; 4. უწვერულვაშო მამაკაცი; 5. ჩეხი მწერალი (1851-1930); 6. საფუტკრე; 7. დელიბის ოპერა; 8. ინგლისური ავტომარკა; 9. ინდოელი ქალის კაბა; 10. ენაჩლუნგი; 11. ხორციანი კორკოტი; 12. მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებელი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 14. შტატი აშშ-ში; 15. ბუნებრივი საღებავი; 16. ქალაქი საუდის არაბეთში; 17. ... თამაშობანი; 18. ატმოსფერული მოვლენა; 19. ა.ხაჩატურიანის ბალეტი; 20. ჩამონათვალი; 21. რუმინეთის ფულის ერთეული; 22. ჭიდაობის სახეობა; 23. ვულკანური წარმოშობის ქანი; 24. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 25. ლექსის სტრიქონი; 26. საარჩევნო ყუთი; 27. მუსლიმანური ქვეყნების მგოსანი-მომღერალი; 28. ყურძნის ჯიში; 29. დიდი, გამობერილი მუცელი; 30. პოეტი ... ნარიმანიძე; 31. ნოტი; 32. ქალაქი ესპანეთში; 33. ფანდი, ხრიკი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მერსიე; 2. ლვოვი; 3. ზული; 5. მაკეტი; 6. სუეცი; 7. არლანდა; 11. ნიანგი; 13. ანაკლია; 14. ბონზა; 15. მატროსი; 16. ხორბალი; 17. ნადალი; 19. ოპეკი; 20. ტატო.

**თარაზულად:** 1. მალხაზი; 4. ცხუმი; 8. ლარნი; 9. კაფე; 10. სევანი; 12. ბალასტი; 14. ბონი; 15. მაჭახელა; 16. ხუნდი; 18. დურდო; 21. დუნაი; 22. ლიპტონი; 23. კალიბრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნუსხური; 2. თარხანი; 3. გარდიანი; 4. სოფიტი; 5. ჭორვილა; 8. მომენტი; 9. სალივანი; 12. ალავერდი; 13. კაზუარი; 16. ჯანელიძე; 17. ტავრიდა; 19. რწყილი; 20. ნაბუკო.

**თარაზულად:** 6. კურლანდია; 7. ბოსფორი; 8. მოდული; 10. გუანაკო; 11. ჟიგა; 14. პლაგიატი; 15. ზარზუელა; 18. ხარება; 21. წერაქვი; 22. ბალჩა; 23. ბერია; 24. პეტრიწონი.

## სპორტი

## ბათუმი კონტინენტის ფარის ნახევარფინალში რუმინელებმა არ შეუშვეს

კონტინენტის ფარის მეოთხედფინალში დაემშვიდობა ტურნირს სარაგბო კლუბი ბათუმი, რომელმაც ნახევარფინალში გასასვლელი ორმატჩიანი დუელი რუმინულ ტიმიშოარა-სარასენსთან დათმო.



შეგახსენებთ, რომ ბათუმელებს საშინაო შეხვედრა 6:11 ჰქონდათ წაგებული და კლუჟში მინიმუმ ხუთქულიანი გამარჯვება მართებდათ, თუმცა, საწადელს ვერ მიაღწიეს და საგარეო მატჩი 12:21 დათმეს.

დიდი 10-ის სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზე მყოფი ბათუმი ლეგიონერებით გაძლიერებულ რუმინეთის ჩემპიონს სტუმრადაც მაგრად დაუდგა და ბოლომდე ებრძოლა, თუმცა, მოსაგებად რესურსი არ ეყო. ბათუმელებს მეტოქესთან შედარებით რაზმში მწირი არჩევანი ჰქონდათ და ეს გადამწყვეტ მომენტებში კარგად გამოჩნდა.

რუმინელები ლელო-ჯარიმით დაწინაურდნენ, რასაც ბათუმელთა გარდაუსახავი ლელოც მოჰყვა — 5:8. თუმცა, ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა კიდევ ერთხელ შეაღწიეს ზღვისპირელთა ლელოში და ტაიმი 13:5 მოიგეს.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბათუმელებმა სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანეს — 12:13. როგორც აღმოჩნდა, ეს იყო ზღვისპირელთა ბოლო ქულები მიმდინარე გათამაშებაში. დარჩენილ დროში ტიმიშოარამ ლელო და ჯარიმა გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 21:12.

საერთო ჯამში, სადებიუტო ევროსეზონში ბათუმის ასპარეზობა წარმატებულად უნდა შეფასდეს. ქართულმა კლუბმა გაცილებით გამოცდილ მოწინააღმდეგეებთან ჭიდილში პირველივე ჯერზე, პლეი ოფში გასვლა მოახერხა და თავი იქაც არ შეურცხვენია. ეს, იმედს გვიტოვებს, რომ კონტინენტის ფარის მომდევნო გათამაშებაში საქართველოს წარმომადგენელი კიდევ უფრო წინ წასვლას მოახერხებს.

## ბათუმში სტადიონის მშენებლობა დაიწყო



როგორც იქნა, საშველი დაადგა და ბათუმში საერთაშორისო სტანდარტების საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის საფუძვლის ჩაყრის ცერემონია გაიმართა. ამ დღეს 12 წელი ელოდა ფეხბურთის იქაური გულშემატკივარი.

სტადიონის გახსნის ცერემონიაზე მიწვეული იყვნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი, სპორტსმენები და ფეხბურთის გულშემატკივრები. ცერემონიაზე შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩაეშვა.

გეტყვით, რომ საერთაშორისო სტანდარტების საფეხბურთო სტადიონი აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაკვეთით შენდება. მშენებლობის ღირებულება 99.448.408 მილიონი ლარია. სტადიონს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „ანაგი“ აშენებს.

**ლევან კობიაშვილი:**

— ეს არის ისტორიული დღე, რომელზეც თითოეული ბათუმელი ოცნებობდა. ნამდვილად მეამაყებოდა და დღემდე მახსოვს ის თამაში, რომელიც ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა ბათუმში ითამაშა. მაშინ მე მოედანზე ვიყავი და ის ემოცია ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო. ამ სტადიონზე მშენებლობის დასრულების შემდეგ, ბათუმის დინამო ითამაშებს, რასაკვირველია, ეროვნული ნაკრებიც ითამაშებს. ბათუმისთვის მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ასეთი მასშტაბური ობიექტი და სტადიონი, ვერ გავიხსენებ, როდის აშენდა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ასტროპროგნოზი 22 იანვარი



**ვერძი** — პარტნიორებისგან იმედგაცრუებას ელოდეთ. ემოციები მძლავრობს. თავი შეიკავეთ. **კურო** — აქტიურობა სათანადო შედეგს გამოიღებს. აგიმაღლდებათ შრომისუნარიანობა. მიზანს მიაღწევთ. **ტყუპები** — ნურავის მისცემთ უფლებას, საქმეში ხელი შეგიშალოთ. საკუთარი ინტერესები წინა პლანზე დააყენეთ. **კირჩხიბი** — დასვენება დაივიწყეთ და აქტიურად იცხოვრეთ. დაეხმარეთ ახლობლებს. **ლომი** — პირად ცხოვრებაში კონფლიქტს ელოდეთ. სულიერ დისკომფორტს განიცდით. **ქალწული** — წონასწორობა შეინარჩუნეთ. დაელოდეთ ხელსაყრელ დროს. ერიდეთ ახალ ნაცნობობას. **სასწორი** — გულახდილობა სასურველი არ არის. ახალგაცნობილი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში ნეგატივს შემოიტანს. **ღრიანკალი** — კეთილისმყოფელი დღეა კარიერული წინსვლის თვალსაზრისით. სიყვარულში წარმატება გელით. **მშვილდოსანი** — ოჯახში ჰარმონია სუფევს. ნუ აჰყვებით ჭორებს. **თხის რქა** — ცდუნება დიდია. საღი აზრი შეინარჩუნეთ. პოზიციებს ნუ დათმობთ. **მერწყული** — ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გრძელვადიანი გეგმები თამამად შეიმუშავეთ. **თევზები** — ყურადღებით იყავით საქმიან ქაღალდებზე ხელმოწერისას. გაუფრთხილდით საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# დავით სოკოლოვი ხანდაზმულთა პოსპისში ცხოვრობს



ცნობილი ტელეწამყვანი დავით სოკოლოვი ხანდაზმულთა ჰოსპისში ცხოვრობს. ინტერნეტით გავრცელებულ ამ ინფორმაციას საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და დავით სოკოლოვის კოლეგებმა თუ რიგითმა მაყურებლებმა სახელმწიფო ღვაწლმოსილი ჟურნალისტის დაუფასებლობაში დაადანაშაულეს.

დავით სოკოლოვს შევჩენკოს ქუჩაზე ბინა თბილისის ომის დროს დაეწვა და მას შემდეგ კუთვნილი საცხოვრებელი ფართის მიღებას ელოდება.

ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ სთხოვა ჟურნალისტებს, გამოეხმაურონ დავით სოკოლოვის სამარცხვინო ყოფას:

– ლეგენდარული დიქტორი, ადამიანი და პროფესიონალი! როგორი სირცხვილია ქვეყნისთვის, რა გაუჭირდა ტელევიზიას ამისთანა, რომ ეს ხელიხელსაგოგმანებელი კაცი ამ დღეში არ ჩავარდნილიყო! მერე ვიტყვით დანანებით, ფიროსმანი კიბის ქვეშ მოკვდაო. ისტორიისაგან ვერაფერს ვსწავლობთ! ლიტონია ჩვენში ყველაფერი!

ყველა ჩემს მეგობარ ჟურნალისტს მინდა ვთხოვო, გამოეხმაურონ დავით სოკოლოვის ასეთ სამარცხვინო ყოფას! ეს არა მარტო პროფესიული სოლიდარობაა, არამედ – საკუთარი მომავლის დაზღვევაც! სუპერპროფესიონალებს უზრუნველყოფილი სიბერე ეკუთვნით! თუ დაიკიდებთ, ახია თქვენზე, სამყაროში არაფერი იკარგება და არაფერი რჩება უპასუხოდ, მათ შორის გულგრილობაც!

# მარიშა ურუშაძე გუჩის სარეკლამო კამპანიაში დაამტკიცეს



ქართველი მოდელი მარიშა ურუშაძე მსოფლიოში ცნობილი ბრენდის, გუჩის, ახალ სარეკლამო კამპანიაში დაამტკიცეს.

ინფორმაცია მოდელის დედასააგენტო ლუქმოდელს მენეჯმენტმა გაავრცელა. მარიშა გასული წლის სექტემბერში გუჩის მილანის მოდის კვირეულის ექსკლუზივი გახდა. დეკემბერში გავრცელდა გუჩის 2018 წლის კატალოგი, სადაც მარიშა ურუშაძეც მოხვდა. სააგენტოს მიერ გავრცელებულ ახალ ინფორმაციაში საუბარია სარეკლამო კამპანიაზე. სააგენტოს განმარტებით, კატალოგი და კამპანია სხვადასხვაა, კამპანია უფრო მაღალი დონეა.

ლუქმოდელს მენეჯმენტის ინფორმაციით, გადაღებები პარიზში რამდენიმე დღეში გაიმართება.

# აფხაზური ანსამბლი ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნაზე იცეკვებს



ეს ინფორმაცია დავით ქაცარავამ გაავრცელა და საქართველოს მოსახლეობას გაერთიანებისკენ მოუწოდა:

– რუსები არ ჩერდებიან და აგრძელებენ ჩვენი ქვეყნის ყველა მიმართულებით დისკრიმინაციას!

ამჯერად ვრცელდება ინფორმაცია, რომ აფხაზური საცეკვაო ანსამბლი მიიღებს მონაწილეობას საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალში!

უნდა გავაპროტესტოთ ეს ქმედება ყველამ ერთად, მთავრობამ, ფეხბურთის ფედერაციამ, ხალხმა!

ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია გრძელდება!

მხოლოდ ერთად შევძლებთ დეოკუპაციის პროცესის დაწყებას!

ძალა ერთობაშია!

# სვანეთში კოშკს ქარმა სახურავი გადახადა



ქვემო სვანეთის სოფელ ბულეშში ქარმა სვანური კოშკის „ჟეშტით“ გადახურული სახურავი გადააძრო, თოვლმა კი მაჩუბი ჩატეხა.

ინფორმაცია მიშა ჩხიკვაძემ გაავრცელა:

– ქვემო სვანეთის სოფელ ბულეშში დგას სვანური კოშკი. ეს კოშკი „ჟეშტით“ გადახურა „პატივცემულმა“ ძეგლთა დაცვამ და ქარმა გადახადა სახურავი.

გვერდზე მაჩუბი ჩატეხა თოვლმა და დღეს ნანგრევებილაა.

ხალხის კოშკებისადმი დამოკიდებულების გამო ამ სახურავს არავინ ახლებს ხელს. წერილი ბევრგან უწერიათ, მაგრამ ამაოდ. გთხოვთ, ყურადღება მივაქციოთ!

# რუსთაველის თეატრის სპონსორი საყდრისის ამფეთქებელი კომპანია გახდა




კომპანია „არემჯი გოლდი“, რომელმაც საყდრისი ააფეთქა, რუსთაველის თეატრის სპონსორი გახდა.

ამ ინფორმაციას საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ თეატრს სპონსორი აუცილებლად სჭირდება, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ საყდრისის ამფეთქებელი კომპანია რუსთაველის თეატრის სპონსორობით კულტურის ქომაგის სტატუსის მოპოვებას არ უნდა ცდილობდეს.

**ანა მიქაუტაძე:**

– საყდრისის ამფეთქებელი კომპანია „არემჯის“ მიერ გარემოსთვის მიყენებული ზარალის ოდენობა მილიარდ ლარამდეა. ამას დაუმატეთ ადამიანის ჯანმრთელობისა და სოფლის მეურნეობისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა. მას ერთი თეთრიც არ დაუხარჯავს რეკულტივაციაზე, გარემოზე მომწამვლელი ზემოქმედების შემცირებაზე.

სამაგიეროდ, ხელშეკრულებას დებს ოთხ მეუფესთან, როგორც დავაზუსტეთ, საპატრიარქოსთან შეუთანხმებლად და არქეოლოგია-რესტავრაციებისათვის 3 მილიონამდე ლარს იმეტებს, ახლა კი რუსთაველის თეატრის სპონსორიც ხდება. ნუთუ, ფულს მართლა არა აქვს სუნი?!

ეს ის რუსთაველის თეატრია, რომლის მსახიობები 1991 წლის ბოლოს გაიფიცნენ და სპექტაკლები აღარ ტარდებოდა ჯაბასა და მხედრიონის სოლიდარობის ნიშნად. მაშინაც საქართველოს დამაქცევრებს გულშემატკივრობდნენ და ახლა კი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის გამანადგურებელსა და ოკუპირებას გადარჩენილი მიწების მომწამვლელ „დიდი რუსეთის“ კომპანია „არემჯის“ ეხმარებიან კულტურის მოამაგის სტატუსის მოპოვებაში.

# თინათინ მაღალაშვილი ჩინეთის მოდის კვირეულზე მიიწვიეს




ქართველი დიზაინერი თინათინ მაღალაშვილი ჩინეთში მოდის კვირეულზე მიიწვიეს.

ჩინეთის ქალაქ ჰარბინში მსოფლიოდან დიზაინერები ჩავიდნენ და თავიანთი ახალი კოლექციები წარადგინეს.

**თინათინ მაღალაშვილი:**

– ჰარბინი არის ჩინეთის ჩრდილოეთის მხარე და ქალაქში 10 მილიონზე მეტი მცხოვრებია. ეს ქალაქი ყოველთვის მიმზიდველი იყო ტურისტებისთვის, რადგან ჰარბინში ყველაზე დიდი კომპლექსია ყინულის ქანდაკებების, „ყინულის სასახლე“, მაგრამ ამ თემაზე მოგვიანებით მოგიყვებით, რადგან ეს არის საოცარი, მისტიკური სილამაზე.

ჰარბინის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქალაქს მიენიჭოს ჩინეთის მოდის დედაქალაქის სახელი, ამიტომ ჰარბინის საერთაშორისო მოდის კვირეული იყო საოცრად მაღალ დონეზე ორგანიზებული. სტუმრის სტატუსით იყო მიწვეული 46 ქვეყნის 120 დიზაინერი იტალიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, მაკედონიიდან, ხორვატიიდან, მოლდოვიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, ბელარუსიდან, საქართველოდან, ისრაელიდან, ამერიკიდან, კანადიდან, არგენტინიდან, ბრაზილიიდან, ავსტრალიიდან, უზბეკეთიდან, ვიეტნამიდან, იაპონიიდან.

ორგანიზებული იყო ასევე დიზაინერების სამუშაო გრაფიკი, უამრავი ინტერვიუ ადგილობრივი ტელევიზიებისათვის, კონფერენციები, საქმიანი სადილი და ვახშამი, ყოველივე ეს კი კოლეგებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების საფუძველია.

საქართველოდან მე მხვდა პატივი წილად, მიმეღო მონაწილეობა, წარმოვადგინე კოლექცია „დაცემული ანგელოზი“, რომელიც წარმოდგენილი მქონდა მოსკოვის მერსედეს ბენცის მოდის კვირეულსა და ლვოვის მოდის კვირეულზე.

ახალი მოწვევები და თანამშრომლობის სურვილი ჩინეთიდან და სხვა ქვეყნებიდან დასტურია იმისა, რომ ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა. ახლა კი ახალი გამოწვევებისთვის ვემზადებით.

# ბერლინის კინოფესტივალის კრიტიკოსთა კვირეულს „საშიში დედა“ გახსნის




ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის კრიტიკოსთა კვირეული ანა ურუშაძის ფილმ „საშიში დედის“ ჩვენებით გაიხსნება. ეს ფილმის გერმანული პრემიერა იქნება.

ბერლინის კრიტიკოსთა კვირეული წელს მეოთხედ ტარდება. ის საზოგადოებას სხვადასხვა ქვეყნიდან ახალ, წარმატებულ ფილმებსა და ამ ფილმების ირგვლივ საინტერესო დისკუსიებს შესთავაზებს. ბერლინის კრიტიკოსთა კვირეული გერმანიის კინოკრიტიკოსთა ასოციაციის ორგანიზებით იმართება.

„საშიში დედა“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. ის საქართველოსა და ესტონეთის ერთობლივი პროდუქციაა. ანა ურუშაძის ფილმში მთავარ როლებს ნატა მურვანიძე და დიმიტრი ტატიშვილი ასრულებენ. მასში აღწერილია თანამედროვე ცხოვრების ფონზე ქალის რთული და შინაგანი თუ სოციალური პრობლემებით დაძაბული ყოველდღიურობა. მთავარი გმირის როლს უზადოდ განასახიერებს ნატო მურვანიძე. მხატვრული ფილმი 50 წლის ქალის, მანანას, ცხოვრებას ასახავს. დედა და დიასახლისი დილემის წინაშე დგას. მას უწევს, არჩევანი გააკეთოს ოჯახურ ცხოვრებასა და მთავარ გატაცებას, წერას შორის. მანანა ცხოვრების აზრს წერაში პოულობს.

„საშიში დედა“ არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული და პრესტიჟული პრიზების მფლობელია. ანა ურუშაძის ნამუშევარი საქართველომ „ოსკარზე“ წარადგინა.

# ტანძიაში წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას თუნუქის სახურავი აქვს



ტანძიაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას ლორფინის ფილები მოხსნეს და თუნუქით გადახურეს.

ეკლესია სულხან-საბა ორბელიანის სახლ-მუზეუმის ეზოში დგას და იგი ორბელიანების კარის ეკლესიაა.

ინფორმაცია ტაძრის სახურავის შეცვლასთან დაკავშირებით ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა გაავრცელა:

– ეს არის ტანძიის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. ეკლესია 2010 წლამდე სრულიად საღი და დაუზიანებელი ლორფინით იყო გადახურული. 2011 წელს უკვე თუნუქით გადახურეს.

სად წაიღეს ლორფინის ფილები, არავინ იცის და ვის მოუვიდა გადახურვის შეცვლის აზრი თავში, გასარკვევია. ისიც გასარკვევია, ვინ მისცა თანხმობა ამ ცვლილებაზე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ტელეპროგრამა

პროგრამა
ორშაბათი
22 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00, 02.32 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.15 "კვირის ინტერვიუ" - ირაკლი აბსანძე 13.00 დოკ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.25, 20.00 ტ/სერ. "**ელემენტარული**" 14.10 დოკ/ფ "ავტოდახმარება" 15.30 დოკ/ფ 16.30, 05.38 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 18.30, 07.06 დოკ/ფ "გონების თამაშები" 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 22.15 ტ/სერ. "**განქორწინების სახელმძღვანელო ქალებისთვის**" 23.15 მხ/ფ "**თანაკლასელები**" 00.57 მხ/ფ "**სირუმე**" (გ.პელტროუ) 03.35 მხ/ფ "**დედინაცვალი**" (ჯ.რობერტსი)

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" 6-7 სერ. 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 05.05 ქრონიკა 10.15, 11.20 სერ. "**ელიფი**" 12.30 იმედის დღე 14.40, 16.00 სერ. "**ტყუილი**" 17.45 სერ. "**ცოდვილი**" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "**ფავორიტი**" 1 სერ. 23.30 სერ. "**სიყვარულისთვის**" 6 სერ. 01.00 მხ/ფ "**ის**" 03.00 მხ/ფ "**სისხლით და ოფლით**" 05.35 მხ/ფ "**ქლოი**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" 07.00, 20.03 სერ. "**დიდი ოჯახი**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ბედის ანაბარა**" 15.40 სერ. "**მზიანი დღეები**" 16.55 სერ. "**ოთხი ისტორია**" 22.00 ჩემი სამზარეულოს წესები 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00, 01.00, 02.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი

tv პირველი 7.50 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. "**რამონზე შეყვარებული**" 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 14.00, 16.00 ლევან ჩხაიძის დღის ამბები 15.00 22.45, საქმის კურსი 17.50, 20.00, 0.00, 2.00, მხ/ფ 23.10 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 სერ. "**დამალული სიმართლე**" 6.00 ქალების ნარატივი

GDS 08.00 ან/ფ "ატომი" 09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" 12.00, 21.00 სერ. "**ელ პრინსიპე**" 13.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 7**" 16.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება 8**" 17.00 სერ. "**ქუანტიკო-2**" 19.00 სერ. "**ჯაშუში 2**" 22.30 სერ. "**მისტერ რობოტი**" 1-2 02.30 მხ/ფ "**გაქცევა**" 04.10 მხ/ფ "**სიცოცხლეზე მონადირე**" 06.05 მხ/ფ "**სახლი ტბასთან**"

იბერია 08.00 ანანდა 08.10 ანიმაცია 08.30 სერ. "**ბანდოლერა**" 10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40 ახალი ამბები 11.40 სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" 13.30, 17.30 ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად 14.30 ექიმის საათი 15.00 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.00 ფაბრიკა 19.55 მე რომ ვიყო 20.00 დე ფაქტო 21.00 სერ. " **პირადი საქმე**" 22.00 სერ. " **ჯადოსნური ამბავი**" 23.00 პანორამა 00.00 სერ. " **ვალანდერი**" 01.30 მოდი გავეყაროთ 3.00 კონცერტი

06.10 დ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მოკ. მხ/ფ "**რაზიკაშვილები**" 07.35 წმინდანთა ცხოვრება "აბო თბილელი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 საგალობელი 08.30 "განთიადი" 10.00 ფოტოგალერეა 10.15 დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი - ცხოვრება და მოქალაქეობა" 11.00 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**კაპიტნები**" 13.15 კონცერტი - ანს. "**ლაპრები**" 15.10 სპექტაკლი "**ეზოში ავი ძაღლია**" 17.25 მოკ. მხ/ფ "**ფეოლა**" 18.15 მოკ. მხ/ფ "**რა გაცინებს**" 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.25 "განთიადი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ძილი ნებისა 21.30 მოკ. მხ/ფ "**აღდგომის ბატკანი**" 22.20 ფოტოგალერეა 22.25 დ/ფ "მარადიული აწმყო" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "რაინდები" 00.15 მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" 01.40 კონცერტი -ალიოშა იუნიჩი 02.45 მხ/ფ "**გვირაბი**"

მაესტრო 10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) 10.30 - 3.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## კალეიდოსკოპი

# წყალქვეშ ნადირობის მოყვარული ზვიგენებს მოეფერა



მარჯნის რიფ ნინგალუზე წყალქვეშ ნადირობის მოყვარული წყალში იმისთვის ჩახტა, რათა იქვე მცურავი აბრეშუმის ზვიგენებს მოფერებოდა.

ზვიგენები მშვიდად დაცურავდნენ 23 წლის მამაცი ახალგაზრდის გარშემო, ზოგჯერ მას სულ რამდენიმე სანტიმეტრის მანძილზე უახლოვდებოდნენ. სანამ ის წყალში იმყოფებოდა, მისი მეგობარი ამ ყველაფერს სპეციალური კამერით ვიდეოზე იღებდა, ხოლო დანარჩენი მეგობრები, რომლებიც ნავში იმყოფებოდნენ, ზვიგენებს წვრილი თევზებით უმასპინძლდებოდნენ.

– წყალში ჩასვლის აუცილებლობა არ არსებობდა, მაგრამ მე მაინც ჩავხტი, იმიტომ რომ ეს უფრო სახალისო იყო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში წყალქვეშ ნადირობის მოყვარულმა, – ზვიგენები ისე ახლოს დაცურავდნენ, რომ ხელით შეხება შესაძლებელი იყო.

მისი მტკიცებით, მას მტაცებელი თევზების არ შეშინებია, ვინაიდან ისინი ადამიანებს თავს უმიზეზოდ არ ესხმიან. აბრეშუმისებრი ზვიგენები სიგრძეში 2,5-3,5 მეტრამდე იზრდებიან. ისინი ადამიანებისთვის პოტენციურად საფრთხის შემცველები არიან, თუმცა მათი თავდასხმები იშვიათობას წარმოადგენს, ვინაიდან ამ სახეობის წარმომადგენლები ღია ოკეანეში ბინადრობენ და ამიტომ ადამიანთან მათი შეხება დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

# ავსტრალიაში დრონმა მოზარდები დახრჩობას გადაარჩინა



დრონი დაეხმარა ორ ავსტრალიელ მოზარდს, რომელიც დინებამ ღია ზღვაში გაიტაცა. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ადამიანების გადარჩენა უპილოტო საფრენი აპარატის დახმარებით მოხერხდა.

მაშველები ემზადებოდნენ გამოცდისთვის, რომელიც ზვიგენების თავდასხმის შემცირების პროგრამის ფარგლებში უნდა გამართულიყო, როდესაც მათ მიიღეს სიგნალი სერფინგისტებისგან. მაშინ მათ დრონზე სპეციალური მოწყობილობა მიამაგრეს, რომელიც წყალში ადამიანების გადასარჩენადაა შექმნილი და შემთხვევის ადგილისკენ გაუშვეს.

სამაშველო ოპერაცია ვიდეოკამერით იქნა გადაღებული, რომელიც დრონზე იყო დამაგრებული. კადრებში ჩანს, რომ უპილოტო საფრენმა აპარატმა სწრაფად იპოვა მოზარდები და სპეციალური მოწყობილობა ჩაუგდო, რომლის დახმარებითაც მათ თავი გადაირჩინეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 იანვრისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5429

ევრო — 3.1082

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5214

100 რუსული რუბლი — 4.4825

## ამინდის პროგნოზი 22 იანვრისთვის








28 დეკემბრიდან

ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი




9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## კიმ კარდაშიანმა და კანიე უესტმა შვილს ქალაქის სახელი დაარქვეს

ამერიკელმა ტელევარსკვლავმა კიმ კარდაშიანმა და მისმა მეუღლემ, მუსიკოსმა კანიე უესტმა, თავიანთ ახლად დაბადებულ გოგონას ჩიკაგო დაარქვეს. ეს ინფორმაცია საკუთარ ტვიტერში თავად კარდაშიანმა განათავსა.



ტელევარსკვლავის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია სულ ორი სიტყვისგან შედგება – „ჩიკაგო უესტი“.

ინტერნეტმომხმარებლები საკუთარ კომენტარებში გაკვირვებას არ მალავენ ბავშვისთვის უცნაური სახელის შერჩევის გამო.

– საგზაო მაჩვენებელს ჰგავს, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

– შესანიშნავი სახელია, როდესაც სხვა არ გაქვს, – დაწერა მეორემ.

– მისი პირველი სიტყვები გასროლის ხმები იქნება, – დაწერა კიდევ ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

აღსანიშნავია, რომ მომღერალმა ბიონსემ და მისმა მეუღლემ, რეპერმა ჯეი-ზიმ, ახალდაბადებულს 20 ათას დოლარზე მეტად ღირებული ბრილიანტისთვლებიანი სამაჯური აჩუქეს.

## ახალგაზრდა ჩინელები კატების ყნოსვას დაეჩვივნენ

ჩინეთში გავრცელდა ჩვევა, რომელთა მიმდევრებს კატების მყნოსავები დაარქვეს. ამ ინფორმაციას ჩინური სააგენტო „სინხუა“ ავრცელებს.



კატების მყნოსავები საათობით თავს დასტრიალებენ თავიანთ შინაურ ცხოველებს, სახეს ცხოველს მუცელზე უსვამენ და მათ სუნს ღრმად ისუნთქავენ.

– მე კატების ძველი მყნოსველი ვარ და, თუ ჩემს დოზას არ მივიღებ, თავს საშინლად ვგრძნობ, – განაცხადა ცხოველების ერთ-ერთმა მოყვარულმა.

– მე და ჩემი ცოლი ბავშვის ყოლისთვის ჯერ მზად არ ვართ, ამიტომ მთელ ჩვენს სიყვარულს ჩვენი კატა იღებს, – ამბობს ჩჟოუ შუაიბო, ერთ-ერთი კინოკომპანიის 30 წლის თანამშრომელი. ის თავის შინაურ ცხოველს დღეში რამდენიმე საათს უთმობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორია ცხოვრება?

– როგორც კინოში...

– ეგ როგორ?

– რეჟისორი ლოთია, სცენარისტი კი შვებულებაშია.

●●●

ცნობილ კურორტზე ტალახის სამკურნალო აბაზანების მიღების შემდეგ გამოსული მამაკაცი მიდის და გაჰყვირის:

– სასწაული! სასწაული მოხდა! ისევ დავდივარ!

მასთან მეორე მამაკაცმა მიირბინა და ეკითხება:

– რა, განიკურნე?

– არა, უბრალოდ, ჩემი ჯიპი მოიპარეს.

●●●

ოფიცერმა ნაწილის ეზოში უსაქმოდ მობოდიალე ჯარისკაცი გააჩერა და ეკითხება:

– რატომ დაბოდიალობთ უსაქმოდ, ჯარში წამოსვლამდე რას აკეთებდით?

– სავაჭრო ფირმის განყოფილების უფროსის მოადგილე ვიყავი.

– ხელქვეითები გყავდათ?

– დიახ, 10 კაცი.

– მერე, როგორ მოიქცეოდით, რომელიმე უსაქმოდ მობოდიალე რომ შეგენიშნათ?

– დაუყოვნებლივ გავათავისუფლებდი!

●●●

სახლში დაბრუნებული შვილი მშობელს ეუბნება:

– მამა, რატომ გგონია, რომ რადგან დაბადების დღეზე ვიყავი, უეჭველად დავთვრებოდი?

– მე მამა კი არა, დედა ვარ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ამ ბოლო დროს ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ ანდაზა „კანონი სულელებისთვის არ არის დაწერილი“ და დეპუტატების ხელშეუხებლობა რაღაცნაირად ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

●●●

წარწერა საგზაო ნიშნის „გასწრება აკრძალულია“ ქვეშ:

„ძვირფასო ქალებო, ეს საგზაო ნიშანი ვრცელდება არა მხოლოდ წითელი და შავი ფერის მანქანებზე!!!“

●●●

შემკვეთი მშენებელს ეუბნება:

– მგონი, მეტისმეტად თხელი კედლებია.

– კი მაგრამ, შპალერიც ხომ უნდა გაეკრას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


16 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი



„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

19 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი



შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი



საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 იანვრიდან

რომან გვენცაძე



საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა



ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## უზარმაზარმა რვაფეხამ დელფინი გაგუდა

ბიოლოგებმა ვეშაპისებრთა ოჯახის წარმომადგენლის რვაფეხას მიერ გაგუდვის პირველი შემთხვევა დააფიქსირეს. ამის თაობაზე ინფორმაცია ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა.



მკვდარი ინდური აფალინი ავსტრალიის ქალაქ პერტის გარეუბანში მდებარე პლაჟზე იპოვეს. მისი დათვალიერებისას მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ დელფინს პირში რვაფეხა ჰყავდა.

მერდოკის უნივერსიტეტის კვლევების ხელმძღვანელ ნაჰიდ სტივენსის თქმით, რვაფეხა საკმაოდ დიდი აღმოჩნდა.

– მე ის დელფინის პირიდან ამომქონდა, ამომქონდა და ვფიქრობდი: „ღმერთო ჩემო! ის არ თავდება!“ – განაცხადა მეცნიერმა, რომლის თქმითაც, რვაფეხას საცეცის სიგრძემ 128 სანტიმეტრი შეადგინა, ხოლო მისი წონა ორ კილოგრამს აღემატებოდა.

მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აფალინი ცდილობდა, რვაფეხა მთლიანად გადაეყლაპა, მაგრამ მსხვერპლი თავისი საცეცებით მის სასულეს ჩააფრინდა, შედეგად დელფინს სასუნთქი გზები გადაეკეტა და გაიგუდა, ასევე დაიღუპა რვაფეხაც.

## ქალმა დაახველა და ნეკნი მოიტეხა



66 წლის ამერიკელმა ქალბატონმა დახველების შედეგად ნეკნი მოიტეხა. ეს შემთხვევა ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალში იქნა აღწერილი.

ქალმა ექიმს მშრალი ხველისა და მარჯვენა გვერდში ტკივილების გამო მიმართა, რომელიც ორი კვირის წინ დაეწყო. ხუთი დღით ადრე მას ზედა სასუნთქი გზების ვირუსული ინფექცია დაუდგინეს, თუმცა დანიშნულმა მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო.

გამოკვლევის შედეგად მას მარჯვენა გვერდში უზარმაზარი ჩალურჯება და მკერდის კედლის მარჯვენა ნაწილის გაზრდილი მგრძნობელობა აღმოუჩინეს. პაციენტმა ტრავმის მიღების შემთხვევა ვერ გაიხსენა. კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ მარჯვენა მხარეს მეცხრე ნეკნის მოტეხილობა და გადახრა აჩვენა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ინგლისელი პოეტი; 3. მოსკოვის მთავარი შენობა; 8. უეცარი შიში, თავზარი; 9. სარტყმელი საკრავი; 14. კახი კავსაძის კინოროლი; 15. დახურული, ოთხთვალა ეტლი; 17. დამხმარე თეორემა; 20. თავის კანი თმებიანად (ველურთა ნადავლი); 22. სპორტის სახეობა; 23. იგივეა, რაც კატარღა; 25. ნიავი; 26. ინტუიცია; 27. ტროპიკული ხილი; 28. ზემოდან მართული თაეტრალური თოჯინა; 29. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 30. სუსტი არაყი; 31. ცალკე ადამიანი, პიროვნება.

**შვეულად:** 1. თევზსაჭერი მოწყობილობა; 2. სოფელი რაჭაში; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. მეექვსე ნოტი; 5. შაქრის ლერწმის მჭრელი მუშა კუბაზე; 6. შუშა; 7. დიდი მაიმუნი წაგრძელებული დრუნჩით; 10. ძვირფასი ქვა; 11. მედიცინის დარგი; 12. ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 13. კურკოვანი ხილი; 16. დავა, პაექრობა; 18. მოთავისე, თავკერძა ადამიანი; 19. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ერთდროული ჟღერა; 21. აპოლონის სადიდებელი ჰიმნი ძველბერძნულ პოეზიაში; 24. სცენის გასანათებელი მოწყობილობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*